კვალიფიკაციების ჩარჩოები

(საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოების შედარებითი ანალიზი)

შესავალი

1. საერთაშორისო კონტექსტი: ევროპული მეტა-ჩარჩოები
    1.1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო - (QF-EHEA)
    1.2. კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის (EQF-LLL)
    1.3. საერთო ევროპული მეტა-ჩარჩოები: მსგავსება და განსხვავება

2. სხვადასხვა ევროპული ქვეყნის ჩარჩოები: დანია, ესტონეთი, ინგლისი და ჩრ. ირლანდია, ირლანდია

3. ეროვნული კონტექსტი - საქართველოს საკვალიფიკაციო ჩარჩო

4. დასკვნები და რეკომენდაციები

დანართები

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

ცოდნაზე დაფუძნებული, დინამიური საზოგადოება და ეკონომიკა მოსწავლეზე, სწავლის შედეგზე ორიენტირებული საგანმანთლებლო სისტემების განვითარებას და ზოგადად, მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობას მოითხოვს. სწავლის შედეგზე ორიენტაცია ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა კვალიფიკაციების ჩარჩო. ეევროპის დონეზე თითქმია პარალელურად შემუშავდა ორი მეტა-ჩარჩო: ბოლონიის პროცესის ფარგლებში უმაღლესი განათლების სისტემის (QF-EHEA) და ევროკავშირის მიერ კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის (EQF-LLL). საქართველო, როგორც ბოლონიის წევრი ქვეყანა თავდაპირველად შეუდგა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებას. 2008 წლიდან მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული განათლების ჩარჩოზეც. 2010 წელს დამტკიცდა საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც განათლების სამი ქვესისტემის ჩარჩოებს მოიცავს.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების შეთანხმებას. აღნიშნული დოკუმენტის 358-ე მუხლში მითითებულია, რომ მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან დაახლოვებისათვის. ამ მიზნით საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი დოკუმენტები როგორიცაა ასევე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის No 2008/C 111/01 რეკომენდაცია "მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავების შესახებ" და ასევე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის No 2241/2004/EC გადაწყვეტილება ე.წ. "კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობისათვის საერთო ჩარჩოს (ევროპასის) შესახებ." ამდენად, დღის წესრიგში დგას ერთიანი ჩარჩოს შემუშავების საკითხი, რომელიც ერთ სტრუქტურაში აღწერს ყველა კვალიფიკაციას.

წინამდებარე დოკუმენტის ამოცანაა:
- ერთი მხრივ გაანალიზოს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის ჩარჩოები, მათი სტრუქტურა, ელემენტები, ტერმინოლოგია;
- მეორე მხრივ შეადაროს ევროპული ჩარჩოების განვითარება ქართულ ჩარჩოებს მოახდინოს ქართული ჩარჩოების ხარვეზებისა და წინააღმდეგობების იდენტიფიცირება მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

მეტა-ჩარჩოების მოკლე მიმოხილვის, მათ შორის მსგავსება-განსხვავების იდენტიფიცირების პარალელურად დოკუმენტი ითვალისწინებს ოთხი ევროპული ქვეყნის ჩარჩოს ანალიზს. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის შერჩეულია შემდეგი ქვეყნები: ირლანდია, ინგლისი, დანია და ესტონეთი. პირველი სამი ქვეყნის შერჩევა განპირობა ამ ქვეყნებში ჩარჩოს არსებობის შედარებით ხანგრძლივმა ისტორიამ. ჩარჩო ამ ქვეყნებში შემუშავდა ევროპულ მეტა-ჩარჩოებზე ადრე და ევროპული დოკუმენტების შემუშავებისას მათი გამოცდილებაც იყო შესწავლილი. რაც შეეხება ესტონეთს მისი შერჩევა განპირობებულია ჩვენი საერთო ისტორიით და იმ ფაქტით, რომ ესტონეთმა ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში. ასევე უნდა აღინიშნოს რომ ოთხივე ქვეყნის ჩარჩო(ები) თვიტსერტიფიცირებული და რეფერენსირებულია როგორც ბოლონიის პროცესის ასევე ევროკავშირის შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცედურების მიხედვით.

სხვადასხვა ქვეყნის ჩარჩოების შედარებითი ანალიზისათვის გამოყენებულია ერთიანი მიდგომა. ყველა ქვეყნის ჩარჩო გაანალიზებულია შემდეგი ურთიერთდაკავშირებული კრიტერიუმების მიხედვით: ჩარჩოს მიზნები/დანიშნულება და ტიპები; ჩარჩოს ძირითადი ელემენტები და ტემინოლოგია; კონკრეტული კვალიფიკაციების ჩართვა კვალიფიკაციების ჩარჩოში.

1. საერთაშორისო კონტექსტი: ევროპული მეტა-ჩარჩოები

1.1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA)

ბოლონიის პროცესის ფარგლებში კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავების აუცილებლობის საკითხი 2003 წელს ბერლინის სამიტზე განიხილეს. ბერლინის კომუნიკეში უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრებმა მოუწოდეს წევრ ქვეყნებს: " შიმუშაონ იოლად შესადარებელი და თავსებადი კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც კვალიფიკაციებს აღწერს სამუშაოს მოცულობის/დატვირთვის, დონის, სწავლის შედეგების, კომპეტენციების და პროფილის საშუალებით. ... ასევე შეიმუშავებენ კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის"

2005 წელს ბერგენის სამიტზე კვალიფიკაციების ჩრჩოს სამუშაო ჯგუფმა წარადგინა QF-EHEA ანგარიში, რომელიც ჩარჩოსთან ერთად მოიცავდა თვითსერტიფიცირების კრიტერიუმებსა და პროცედურებს.

სამიტმა მიიღო QF-EHEA, რომელიც მოიცავს:
- უმაღლესი განათლების 3 საფეხურს(cycle) და შესაბამი კვალიფიკაციით, ეროვნულ კონტექსტში შესაძლებელია ქვესაფეხური(short-cycle),
- სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ზოგად აღმწერს/დესკრიპტორს თითოეული საფეხურისათვის
- კრედიტებს I და II საფეხურებისათვის.

1.2. EQF-LLL
ევროკავშირმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კვალიფიკაციების ჩარჩოზე მუშაობა დაიწყო 2004 წელს, წევრი ქვეყნების, სოციალური პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების თხოვნის საფუძველზე. 8 დონიანი ჩარჩოს პირველი პროქტი გამოქვეყნდა 2005 წელს და ფართო განხილვების შედეგად 2006 წელს ევროკომისიამ დაამტკიცა ინიციატივა, შეემუშავებინა ჩარჩო, როგორც მთარგმნელობითი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა სხვადასხვა ქვეყნისა და სისტემის კვალიფიკაციების გაგება და ურთიერთშედარება. ევროპარლამენტმა და საბჭომ რეკომენდაციები კვალიფიკაციების ჩარჩოს შექმის შესახებ 2008 წლის 23 აპრილს დაამტკიცა.

ჩარჩოს მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მობილობას ქვეყნებს შორის და გააადვილოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა. ის შემუშავდა, როგორც მთარგნელობითი ინსტრუმენტი. ამ ფუნქციის შესასრულებლად შემუშავდა EQF-LLL-თან მიმართებაში ეროვნული ჩარჩოს "რეფერენსირების" წესი და პროცედურა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების კვალიფიკაციების ჩარჩოები 2010 წლიდან "რეფერენსირებულია" მეტა - ჩარჩოს დონეებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს რომ ეროვნული კვალიფიკაციები განთავსებულია EQF-LLL-ის შესაბამის დონეებზე. ეს EQF-LLL-ის დახმარებით ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კვალიფიკაციების ურთიერთშედარებისა და მათი დონისა და სწავლის შედეგების გაგების საშუალებას იძლევა.

ჩარჩოს ბირთვს წარმოადგენს 8 საკვალიფიკაციო დონე, რომელიც აღწერილია სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარი, კომპეტენცია) მიშვეობით.

1.3. საერთო ევროპული მეტა-ჩარჩოები: მსგავსება და განსხვავება

მეტა-ჩარჩოებს შორის მსგავსება რამდენიმე ელემენტების მიხედვით აშკარაა. ორივე ორიენტირებულია კვალიფიკაციებზე და მათი აღწერისათვის იყენებს სწავლის შედეგებს. კვალიფიკაციებისა და სწავლის შედეგების დეფინიციები მსგავსია. თუმცა განსხვავებულია ჩარჩოს დანიშნულება, ზოგიერთი სტრუქტურული ელემენტი და სწავლის შედეგების სხვადასხვა ელემენტებად დაყოფა.

ა) ჩარჩოს დანიშნულება
ჩარჩოებს შორის განსხვავებას პირველ რიგში განაპირობებს მათი მიზანი და დანიშნულება. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო არის სისტემის ჩარჩო, ხოლო EQF-LLL არის განათლების დონეების ჩარჩო. კერძოდ,

EQF-LLL – "კვალიფიკაციების ჩარჩო - ინსტრუმენტი, რომლიც განათლების განსაზღვრული დონისათვის დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს კვალიფიკაციების კლასიფიცირებას"[1]. განმარტებებიდან ნათლად ჩანს, რომ EQF აქცენტს აკეთებს განათლების დონის შესაბამის შედეგზე და არ აინტერესებს ფორმალური სისტემა. ის შეიქმნა როგორც კვალიფიკაციის მთარგმნელი ინსტრუმენტი და მისი მიზანია ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას.

"QF- EHEA - ეროვნულ/სისტემის დონეზე არსებული დოკუმენტი, რომელიც გასაგებია საერთაშორისო დონეზე და რომლის მეშვეობითაც უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია და სხვა სასწავლო მიღწევა აღიწერება თანამიმდევრული და ურთიერთადაკავშირებული გზით და განსაზღვრავს ურთიერთობებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს შორის"[2]. ის ეფუძნება ბოლონიის პროცესის მიერ განსაზღვრულ სტრუქტურას: უმაღლესი განათლების სისტემის საფეხურებსა და შესაბამის კვალიფიკაციებს(ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი). ბერლინის კომუნიკე ცალსახად მიუთითებს, რომ ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხარისხების თავსებადობა და შესადარობა, რაც მნიშვნელოვანი იყო უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოსაყალიბებლად.

ეს სხვაობა ხაზგასმულია ევროკავშირის მიერ EQF-LLL-ისთვის მომზადებულ ე.წ. შენიშვნებშიც: "ორ მეტა-ჩარჩოს შორის აშკარა მსგავსების მიუხედავად არსებობს განსხვავებები მათ მიზნებსა და დესკრიპტორებთან მიმართებებში. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA) გულისხმობს სისტემების ჰარმონიზაციას, მაშინ როდესაც კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო (EQF-LLL) გულისხმობს სისტემების ურთიერთდაკავშირებას. ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა ხარისხების საერთო სტრუქტურის (სამსაფეხურიანი სისტემა) შემოღებით განახორციელოს ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის ჰარმონიზაცია. EQF-ი კვალიფიკაციების ან კვალიფიკაციების სისტემის ნაწილის ჰარმონიზაციის ინსტრუმენტი არ არის, ის განზრახულია, როგორც მთარგმნელობითი მექანიზმი, რომელიც ნათლად წარმოადგენს ურთიერთდაკავშირს სხვადასხვა კვალიფიკაციასა და კვალიფიკაციების სისტემებს შორის.[3]"(გვ.9)

ბ) ჩარჩოს არქიტექტურა

მეტა-ჩარჩოების დანიშნულება გავლენას ახდენს მათ არქიტექტურაზეც და მათი შემადგენელი ძირითადი ელემენტების რაოდენობა განსხვავებულია. EQF-LLL ის ძირითადი ელემენტებია: დონე და აღმწერი (სწავლის შედეგები). ბოლონიის ჩარჩოს ელემენტებია 3 საფეხური(cycle), აღმწერი(სწავლის შედეგები), რომელიც აღწერს უკვე განსაზღვრულ კვალიფიკაციებს (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი) და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა (ECTS) ორი საფეხურისათვის. ბოლონიის ჩარჩო ერთმანეთიგან განასხვავებს დონეს და საფეხურს (იხ. დანართი 1). ბოლონიის ჩარჩოს ერთ-ერთი ელემენტია საფეხური (cycle), როგორც ფორმალური სისტემის სტრუქტურული ერთეული. უმაღლესი განათლების პირველი საფეხური ზოგიერთ სისტემაში მოიცავს 2 დონეს.

გ) ტერმინოლოგია

სწავლის შედეგები

კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავება და მისი განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული გამოყენებული ტერმინების განმარტებაზე. მეტა-ჩარჩოები და სხვადასხვა ევროპული დოკუმენტები ერთსა და იმავე ტერმინს სხვადასხვა აზრობრივ დატვირთვას ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მეტა-ჩარჩო სწავლის შედეგს თითქმის ერთნაირად განმარტავს (იხ. დანართი 1) სწავლის შედეგების დაყოფა ელემენტებად განსხვავებულია.

[1]Recommendation of the European parliament and the council on the establishment of the European Qualifications Framework for lifelong learning (2008/C 111/01)

[2] A Framework for Qualifications of the European Higher Education Area. Bologna Working Group on QF, 2005; გვ.30

[3] EQF note 1. Explaining the European qualifications framework for lifelong learning. გვ.9

ბოლონიის ჩარჩო სწავლის შედეგს ყოფს 5 ელემენტად:

- ცოდნა და გაცნობიერება,
- ცოდნისა და გაცნობიერების გამოყენება,
- გადაწყვეტილების მიღება,
- კომუნიკაციის უნარი
- სწავლის უნარი.

EQF-LLL-თვის სწავლის შედეგი აღიწერება შემდეგი ელემენტებით:

- ცოდნა,
- უნარი,
- კომპეტენციები.

"უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოთი (QF-EHEA) სწავლის შედეგები გაგებულია, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ. დუბლინის დესკრიპტორი იყენებს ხუთ განზომილებას: "ცოდნა და გაცნობიერება", "ცოდნისა და გაცნობიერების გამოყენება", "დასკვნის გაკეთება", "კომუნიკაცია" და "სწავლის უნარები". აქედან პირველ სამს მოიცავს EQF-ის ცოდნა და უნარები. EQF პირდაპირ/ამომწურავად არ იმოწმებს ისეთ ძირითად კომპეტენციებს[4] როგორიცაა კომუნიკაცია და მეტა-კომპეტენცია სწავლის უნარი (learning to learn). ისინი ნაწილობრივ EQF-ს ყველა ელემენტშია ჩართული, მაგრამ ძირითადად მაინც მოაზრებულია კომპეტენციებში"[5]

კომპეტენცია

ევროპულ დონეზე განსაკუთრებულ დაბნეულობას იწვევს "კომპეტენციის" განმარტება და მისი მიმართება სწავლის შედეგთან. მეტა-ჩარჩოებთან ერთად აქ ასევე განვიხილავთ ე.წ. ტუნინგის პროექტის მიდგომებს, ვინაიდან მან თავისი გავლენა მოახდინა ქართულ უმაღლეს განათლებაზე.

- EQF-LLL
- QF-EHEA
- თუნინგის პროექტი

- კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო "მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისათვის" (EQF) მიხედვით: "კომპეტენცია ნიშნავს ცოდნის, უნარებისა და პერსონალური, სოციალური და/ან მეთოდოლოგიური შესაძლებლობების დადასტურებულ გამოყენებას, როგორც სამუშაო ან სასწავლო სიტუაციაში, ასევე პროფესიული და პერსონალური განვითარებისათვის". კომპეტენცია აღიწერება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კონტექსტით. ანუ საქმე გვაქვს უფრო ვიწრო გაგებასთან გვაქვს საქმე, რაც პრაქტიკაში ცოდნის ტრანსფერს გულისხმობს.

- ბოლონიის პროცესი და ბოლონიის ჩარჩოს ანგარიში ხშირად მიუთითებს კომპეტენციებზე, თუმცა მისი დეფინიცია ბოლონიის ჩარჩოს არ შემოუთავაზებია. ბერლინის კომუნიკეში მითითებულია, რომ კვალიფიკაცია უნდა აღიწეროს სწავლის შედეგების და კომპეტენციების მიხედვით. ამის საპირისპიროდ კი ჩარჩოს სამუშაო ჯგუფის ანგარიშში მითითებულია "სწავლის შედეგები კომპეტენციების ჩათვლით". QF-EHEA სწავლის შედეგებს აღწერს "დუბლინის დესკრიპტორებით", რომელიც 5 ელემენტისგან შედგება. სწავლის შედეგების დეფინიციის განხილვისას ბოლონიის სამუშაო ჯგუფი მივიდა დასკვნამდე,[6] რომ ზმნა " გაკეთება" (do) ხაზს უსვამს კომპეტენციის ასპექტს, უფრო მეტად შესაძლებლობას ვიდრე დემონსტრირების წესს. ამდენად, "დუბლინის დესკრიპტორის" 5 ელემენტი, რომელიც აღწერს საფეხურის შესაბამის სწავლის შედეგებს მოიცავს კომპეტენციის ასპექტებსაც ამასთან, ეს ნათლად გამოკვეთილი არაა (სწავლის უნარის გარდა). თუ "დუბლინის დესკრიპტორებთან" მიმართებაში EQF-LLL- ის მიერ შემოთავაზებულ დეფინიციას გამოვიყენებთ და კომპეტენციას ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კონტექსტში განვიხილავთ მაშინ დავინახავთ, რომ სამივე საფეხურზე სწავლის

[4] აქ იგულისხმება ძირითადი კომპეტენციები, რომელიც მოცემულია შემდეგ დოკუმენტში Recommendation of the European parliament and the council on key competences for lifelong learning (2006/962/EC)

[5] EQF note 1. Explaining the European qualifications framework for lifelong learning. გვ.10

[6] A Framework for Qualifications of the European Higher Education Area.
Bologna Working Group on Qualifications Frameworks, 2005. გვ. 166

უნარი გამოხატულია ავტონომიურობის ხარისხით, ხოლო კომუნიკაციის უნარი დაკავშირებულია პასუხისმგებლობასთან (დანართი 2).

- თუნინგის პროექტი აქტიურად იყენებს კომპეტენციების ტერმინს, თუმცა ამ ტერმინის დეფინიცია და გამოყენება სხვადასხვა გამოცემასა და პროექტში სხვადასხვაგვარია. ტუნინგს სამი განსხვავებული მიდგომა აქვს გამოყენებული. კერძოდ,

"თუნინგი II" (საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთშეწყობა ევროპაში) ერთმანეთისაგან განასხვავებს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, რათა დააფიქსიროს სასწავლო პროცესის ყველაზე რელევანტური მონაწილეების (აკადემიური პერსონალი და სტუდენტები) განსხვავებული როლი. თუნინგისათვის კომპეტენცია არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების დინამიური კომბინაცია. ***სწავლის შედეგები გამოიხატება კომპეტენციების მეშვეობით***. [7] კომპეტენციები შეიძლება განვითარდეს უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე ეს სწავლის შედეგების მიერაა მოთხოვნილი.[8]

თუნინგის სექტორული კვალიფიკაციების ჩარჩოს (ჰუმანიტარია და ხელოვნება) მიხედვით, თუნინგ II-ის საპირისპიროდ, სწავლის შედეგები დაყოფილია EQF-LLL-ის კატეგორიების მიხედვით: ცოდნა, უნარი, კომპეტენციები.[9]

თუნინგის შედარებით ახალი გამოცემა "საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამის პროფილების ფორმულირების სახელმძღვანელო" სწავლის შედეგების ჩამონათვალთან ერთად იძლევა დარგობრივ და ტრანსფერული კომპეტენციების ჩამონათვალს. [10] ანუ თუნინგი II-ის საპირისპიროდ სწავლის შედეგი აღარ გამოიხატება კომპეტენციებით და არც სექტორული ჩარჩოს დოკუმენტის მსგავსად განსაზღვრვს კომპეტენციას ავტონომიურობისა და პასუხისმგებონის კონტექსტში.

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ურთიერთმიმართება

სტუდენტზე ორიენტირებულ სისტემაზე გადასვლით სწავლის შედეგი გახდა განათლების სისტემის ბირთვი. მისი მკაფიოდ ჩამოყალიბება და სწორი გამოყენება მნიშვნელოვანია განათლების სისტემის განვითარებისათვის. სწავლის შედეგები განისაზღვრება სხვადასხვა დონეზე (ეროვნული ჩარჩო, კურიკულუმი, სილაბუსი), სხვადასხვა მიზნით. ჩარჩოს დონეზე სწავლის შედეგი(მ.შ. კომპეტენციები) არის განზოგადებული აღმწერი, რომელიც ამა თუ იმ დონის ტიპური კვალიფიკაციის მფლობელის შესაძლებლობებს ასახავს ყველა დაინტერესებული პირისათვის. პროგრამისა და კურსის ერთეულის დონეზე სწავლის შედეგი არის სასწავლო და შეფასების პროცესის წარმართავი ინსტრუმენტი და მისი ფორმულირებაც უნდა იყოს შესაბამისი. [11] ამდენად, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეზე არსებული სწავლის შედეგების გადატანა კურიკულუმსა და სილაბუსის დონეზე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: უნდა იყოს მიღწევადი განსაზღვრულ დროში და შეფასებადი. კომპეტენციების შეფასება არ ხდება, შესაბამისად კურიკულუმში მისი აღწერა სასწავლო პროცესის მიზნებისთვის არ ხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენციის ტერმინის მკაფიო დეფინიციის, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ურთიერთმიმართების დადგენის გარეშე მისი გამოყენება კვალიფიკაციების ჩარჩოში მისი გამოყენება არ შეიძლება.

[7] ამ შემთხვევაში "თუნინგი" იყენებს გერმანულ მიდგომას. გერმანიის კვალიფიკაციის ჩარჩოში ტერმინი "სწავლის შედეგი" არ არსებობს,s იგი ჩანაცვლებულია კომპეტენციის ტერმინით

[8] საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთხელშეწყობა ევროპაში, თუნინგი II. 2005 (ქართ. თარგმ. 2007) გვ.10

[9] http://www.unideusto.org/tuningeu/sqf-humanities-and-arts/outcomes.html

[10] http://www.unideusto.org/tuningeu/images/stories/documents/Tuning_Guide._Degree_programme_profiles.pdf

[11] EQF note 4. Using Learning Outcomes. გვ. 8-9

2. სხვადასხვა ევროპული ქვეყნის ჩარჩოები: დანია, ესტონეთი, ინგლისი, ირლანდია

ევროპაში არსებობს სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის ჩარჩოები. ზოგიერთი მათგანი მოიცავს ყველა დონისა და ტიპის კვალიფიკაციას და ზოგიერთი კი მაგ., მხოლოდ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს. ზოგიერთი ეროვნული სისტემები იყენებენ მხოლოდ ერთ ჩარჩოს (ირლანდია, შოტლანდია), მაშინ როდესაც სხვებს რამდენიმე ჩარჩო აქვთ. ასევე, ზოგიერთი მათგანის შემუშავება წინ უსწრებდა ევროპულ მეტა-ჩარჩოებს (მაგ., ირლანდია, ინგლისი, შოტლანდია, დანია), მათი უმრავლესობა კი შემუშავდა ევროპული მოთხოვნების საფუძველზე. სხვადასხვა ქვეყნის ჩარჩოების მსგავსება-განსხვავება სქემატურად მოცემულია # 3 დანართში.

2.1. დანია

დანიის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოშემუშავდა 2001-2003 წლებში დანიის ბოლონიის სამუშაო ჯგუფის მიერ. 2006 წელს ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე მიღებულ იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება მთელი ცხოვრების მანძილზე კვალიფიკაციების ჩარჩოს შესამუშავებლად. ერთიანი ჩარჩოს იდეა დაუკავშირდა პროფესიული განათლების რეფორმას. ერთიანი კვალიფიკაციების ჩარჩო ოფიციალურად დამტკიცდა 2009 წელს. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებისა და ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოები თვითსერტიფიცირებული და რეფერენსირებულია ევროპული კრიტერიუმების შესაბამისად.

ჩარჩოს დანიშნულება და ტიპები

დანიას აქვს 2 ჩარჩო: უმაღლესი განათლების ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაშია ბოლონიის ჩარჩოსთან და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ეროვნული ჩარჩო - 8 დონიანი

უმაღლესი განათლების ჩარჩოს მიზანია:
- უზრუნველყოს ხარისხების სტრუქტურის გამჭვირვალობა და თვალნათელი გახადოს საგანმანათლებლო სისიტემაში შესასვლელი სხვადასხვა გზები
- აამაღლოს საერთაშორისო შესადარობა, უცხოური კვალიფიკაციების კრედიტების ტრანსფერის, მობილობისა და აღიარების მიზნით

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ეროვნული ჩარჩოს მიზანია ხელი შეუწყოს დანიის კვალიფიკაციების სისტემის გამჭვირვალობას და დაეხმაროს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლასა და მობილობას.

ჩარჩოს ელემენტები და ტერმინოლოგია

უმაღლესი განთლების ჩარჩო:
- 4 საკვალიფიკაციო დონე
    - I დონე - Academy Profession level. ე.წ. "მოკლე ციკლი"(short cycle)
    - II დონე - ბაკალავრის დონე
    - III დონე - მაგისტრის დონე
    - IV დონე - დოქტორის დონე
- დონის აღმწერები: სწავლის შედეგები - აღწერილია ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის ტერმინებით
- ფორმალური ასპექტები: კრედიტები, დაშვება და პროგრესია, განმახორციელებელი
- ზრდასრულთა განათლების დონეები და აღმწერი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო შედეგება შემდეგი ელემენტებისაგან:
- 8 დონე
- დონის აღმწერები - აღწერილია ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის ტერმინებით
- ხარისხები და სერტიფიკატები
- ხარისხებისა და სერტიფიკატების ჩართვის პრინციპები და პროცედურა

ორი ჩარჩოს ელემენტები განსხვავდება ერთმანეთისაგან. უმაღლესის ჩარჩოს დამატებით აქვს ფორმალური ასპექტები მაგ., ECTS კრედიტები. რაც მთავარია ორივე ჩარჩოს დესკრიპტორი დაფუძნებულია ცოდნა, უნარი და კომპეტენციის კონცეფციაზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებისას განისაზღვრა, რომ კვალიფიკაციები აღიწერებოდა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით, რაც შემდგომ გავრცელდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ჩარჩოზეც. დესკრიპტორის ელემენტების დეფინიცია სიტყვა-სიტყვით არ ასახავს, თუმცა შესაბამისობაშია EQF-LLL-ის შესაბამის დეფინიციებთან.

ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის დონის აღმწერები ყოველგვარი ცვლილებების გარეშე უმაღლესის ჩარჩოდან გადატანილია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ჩარჩოში მე-6-ე, მე-7-ე და მე-8-ე დონეებზე. დანიაში ეს დონეები შეესაბამება მხოლოდ უმაღლეს განათლებას. ცვლილება განიცადა ე.წ. უმაღლესის ჩარჩოს ე.წ. "მოკლეციკლის" აღმწერმა, რომელიც შეესაბამება ერთიანი ჩარჩოს მე-5-ე დონეს. 1-5 დონეები მოიცავს განათლების სხვადასხვა სისტემის კვალიფიკაციებს.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კვალიფიკაციის ჩარჩოს დესკრიპტორის ელემენტები და ასპექტები (დანია)

ცხრილი 1

დესკრიპტორის ელემენტი	**ცოდნა**	**უნარი**	**კომპეტენცია**
ელემენტის ასპექტები	ტიპი	ტიპი	მოქმედების სივრცე
	კომპლექსურობა	პრობლემის გადაჭრა	კოოპერაცია და პასუხისმგებლობა
	გაცნობიერება	კომუნიკაცია	სწავლა

ცოდნა
ნიშნავს საგნის ცოდნასა და გაცნობიერებას
ცოდნის ასპექტები:

- ცოდნის ტიპი მოიცავს ცოდნას თეორიის ან პრაქტიკის შესახებ; საგნის ან პროფესიული სფეროს ცოდნას.
- ამ ცოდნის კომპლექსურობა: კომპლექსურობის ხარისხი და რამდენად პროგნოზირებადი ან არაპროგნოზირებადია სიტუაცია, რომლის ფარგლებშიც ხდება ცოდნის დაუფლება
- გაცნობიერება: ცოდნის კონტექსტში ჩასმის უნარი. მაგ., გაცნობიერება გამოხატულია, როდესაც სხვისთვის ხდება რაიმეს ახსნა.

უნარი
უნარი ნიშნავს თუ რისი გაკეთება ან შესრულება შეუძლია პირს
უნარის ასპექტები:

- უნარის ტიპი: მოიცავს პრაქტიკულ, კოგნიტურ, კრეატიულიან საკომუნიკაციო უნარებს
- პრობლემის გადაჭრის კომპლექსურობა: პრობლემის გადაჭრის უნარის გამოყენება და დასმული ამოცანის კომპლექსურობა
- კომუნიკაცია: მოიცავს მოთხოვნილ კომუნიკაციას; შეტყობინების/მესიჯის კომპლექსურობას; მიზნობრივ ჯგუფს და შესაბამის ინსტრუმენტებს.

კომპეტენცია
შეეხება პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, ცოდნისა და უნარების სამუშაო სიტუაციაში ან სასწავლო კონტექსტში გამოყენებისას
კომპეტენციის ასპექტები:

- მოქმედების სივრცე: სამუშაო ან/და სასწავლო კონტექსტი, რომლის

ფარგლებშიც ხდება ცოდნისა და უნარის გამოყენება
- კოოოპერაცია და პასუხისმგებლობა: საკუთარ და სხვების მუშაობაზე პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობა/უნარი და კოოპერაციის კომპლექსურობა
- სწავლა: საკუთარ და სხვების სწავლაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი[12].

ევროპული და დანიური კვალიფიკაციის ჩარჩოების დესკრიპტორის ელემენტები

ცხრილი 2

EQF –LLL დესკრიპტორის ელემენტები	დანიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დესკ. ელემენტები	დანიის უმაღლესი განა. ჩარჩოს დესკრიპტორის ელემენტები	დუბლინის დესკრიპტორის ელემენტები
ცოდნა - თეორია, ფაქტობრივი	ცოდნა და გაცნობიერება - ცოდნის სფერო/ტიპი - კომპლექსურობა - გაცნობიერება	ცოდნა და გაცნობიერება - ცოდნის სფერო - <u>გაცნობიერებისა და რეფლექსიის დონე</u>	ცოდნა და გაცნობიერება
უნარი - კოგნიტური, პრაქტიკული	უნარი - უნარის ტიპი - პრობლემის გადაჭრა - კომუნიკაცია	უნარი - უნარის ტიპი - <u>შეფასება და გადაწყვეტილების მიღება</u> - კომუნიკაცია	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი გადაწყვეტილების მიღება კომუნიკაციის უნარი
კომპეტენცია - ავტონომიურობა, პასუხისმგებლობა	კომპეტენცია - მოქმედების სივრცე - კოლაბორაცია და პასუხისმგებლობა - სწავლა	კომპეტენცია - მოქმედების სივრცე - კოლაბორაცია და პასუხისმგებლობა - სწავლა	სწავლის უნარი

ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ დანიის კვალიფიკაციის ჩარჩოების ელემენტები, შესაბამისი ასპექტებით, ძირითადად თანხვედრაშია ორივე ევროპულ მეტა-ჩარჩოსთან. უმნიშვნელო განსხვავებაა თავად დანიის ჩარჩოების ცოდნისა და უნარების ასპექტებში. თუმცა, როგორც ზევითაა აღნიშნული ერთიანი ჩარჩოს 6-8 დონეები პირდაპირ გადმოტანილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოდან.

კვალიფიკაციების ჩართვა კვალიფიკაციების ჩარჩოში

დანიის კვალიფიკაციების ჩარჩო მოიცავს ძირითად და დამატებით კვალიფიკაციებს(ზრდასრულთა განათლება). ტიპური კვალიფიკაციები განისაზღვრება კანონმდებლობით. რაც შეეხება კონკრეტული პროგრამით გაცემულ კვალიფიკაციებს მათი თავსებადობა ჩარჩოსთან და შესაბამისად მისი სისტემის ნაწილად აღიარება ხდება შესაბამისი პროცედურებით, რომელიც განსხვავებულია განათლების ქვესისტემების მიხედვით.

უმაღლეს განათლებაში არსებობს 7 ჩვეულებრივი ტიპის კვალიფიკაცია და 4 ზრდასრულთა განათლების კვალიფიკაცია[13]:

[12] http://ufm.dk/en/education-and-institutions/recognition-and-transparency/transparency-tools/qualifications-frameworks/concepts
[13] Referencing the Danish Qualifications Framework for Lifelong Learning to the European Qualifications Framework. 2011; http://ec.europa.eu/eqf/documentation_en.htm

1. Academy Profession Degree
2. პროფესიული ბაკალავრის ხარისხი
3. ბაკალავრის ხარისხის
4. ბაკალავრის ხარისხი ხელოვნების მიმართულებით
5. მაგისტრის ხარისხი
6. მაგისტრის ხარისხი ხელოვნების მიმართულებით
7. დოქტორის ხარისხი (PhD)

უმაღლესი -ზრდასრულთა შემდგომი განათლების კვალიფიკაციები

1. Academy Profession Degree
2. დიპლომი (ბაკალავრის დონე)
3. ბაკალავრის ხარისხი
4. მაგისტრის ხარისხი

ზემოაღნიშნული ზოგადი კვალიფიკაციები დაფიქსირებულია კვალიფიკაციების ჩარჩოში. უმაღლესი განათლების ახალი საგანმანათლებლო პროგრამის /კვალიფიკაციის ჩართვა ჩარჩოში კი ხორციელდება ე. წ. Ex-ante აკრედიტაციის მეშვეობით.

სასკოლო და პროფესიული განათლების კვალიფიკაციები განთავსებულია 1-5 დონეზე. კვალიფიკაციის ტიპები მოცემულია კვალიფიკაციის ჩარჩოში. რაც შეეხება კონკრეტული პროგრამით მინიჭებულ კვალიფიკაციების ჩართვა ჩარჩოში დამოკიდებულია შესაბამისი სამინისტროზე. სასკოლო პროგრამის/კვალიფიკაციის ჩართვა ხორციელდება სამინისტროს მიერ პროგრამის დამტკიცების მეშვეობით. პროფესიული განათლებისა და ტრენინგის შემთხვევაში სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტები და ზრდასრულთა პროფესიული ტრენინგის კომიტეტები აფასებენ პროგრამას და რეკომენდაციას წარუდგენენ განათლების სამინისტროს, რომელიც ამტკიცებს კონკრეტული კვალიფიკაციის ჩართას კვალიფიკაციების ჩარჩოში

კონკრეტული კვალიფიკაციის დონე, მისი ჩართულობა შესაბამის ჩარჩოში დასტურდება ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტებით: დიპლომის დანართითა და სერტიფიკატის დანართით.

2.2. ესტონეთი

ესტონეთში ერთიან ჩარჩოზე მუშაობა დაიწყო 2005 წელს, ევროკავშირის EQF პირველი სამუშაო დოკუმენტის საფუძველზე. 2008 წელს "ოკუპაციური[14]/სექტორული კვალიფიკაციების აქტით" ესტონეთმა დაამტკიცა EQF-LLL-ის 8 დონიანი ჩარჩო, როგორც ესტონეთის კვალიფიკაციების ჩარჩო (EstQF) და განახორციელა ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი და "ოკუპაციური"/სექტორული კვალიფიკაციების რეფერენსირება და განთავსება არსებულ 8 დონეზე.

ჩარჩოს მიზნები/დანიშნულება და ჩარჩოს ტიპები

ესტონეთის კვალიფიკაციების ჩარჩო არის 8 დონიანი, EQF-LLL-ის იდენტური დესკრიპტორებით. კანონის თანახმად "კვალიფკიცავიების ჩარჩო ახდენს ოკუპაციური/სექტორული და საგანმანათლებლო კვალიფიკაციების დონეების კლასიფიცირებას ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობისათვის დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე"[15]

ესტონეთში ნორმატიული აქტებით დამტკიცებულია განათლების 3 ქვესისტემის სტანდარტი, რომელიც ქვესისტემის სხვა საკითხების რეგულირებასთან ერთად უფრო დეტალურად აღწერს შესაბამისი ტიპური კვალიფიკაციის სწავლის შედეგებს . ესენია:
- საბაზო სკოლის ეროვნული კურიკულუმი

[14] **Occupational qualification** means a qualification associated with a trade, occupation or profession resulting from work based learning.
[15] Occupational Qualifications Act. http://www.kutsekoda.ee/en/kutsesysteem/oigusaktidkutseseadus

- გამარტივებული ეროვნული კურიკულუმი საბაზო სკოლებისათვის
- საშუალო სკოლის ეროვნულლი კურიკულუმი
- პროფესიული განათლების სტანდარტი
- უმაღლესი განათლების სტანდარტი

ოკუპაციურ/სექტორულ კვალიფიკაციების შემუშავების წესიც დადგენილია ოკუპაციური/სექტორული კვალიფიკაციების სტანდარტებით. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტები ესტონეთის რეფერენსირების დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც ქვე-ჩარჩოები.

ესტონეთმა ჩარჩოს შემუშავების განსხვავებული გზა აირჩია. EQF-LLL დაამტკიცა, როგორც საკუთარი ჩარჩო - EstQF. ვინაიდან 8 დონიანი ჩარჩოს დონის აღმწერები EQF-LLL-ის იდენტურია, ჩარჩოს შემუშავება-განხორციელების პროცესში მთელი ყურადღება გადატანილ იქნა ზემოაღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ტიპური კვალიფიკაციების დონეების მიხედვით განთავსებაზე.

განათლების სისტემის ტიპური კვალიფიკაციების ადგილი კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეებზე

ცხრილი 3

სისტემა	**კვალიფიკაცია (ტიპები)**	**EstQF დონე**	**ტიპური კვალიფიკაციის სწავლის შედეგის აღმწერები - ნორმატიული აქტი**
უმაღლესი განათლების	4 ტიპი: - დოქტორი - მაგისტრი - პროფესიული უმაღლესი განათლების დიპლომი - ბაკალავრი	 8 7 6 6	უმაღლესი განათლების სტანდარტი
პროფესიული განათლების	4 ტიპი: - სპეციალიზირებული პროფესიული განათლება* - საშუალო პროფესიული განათლების სერტიფიკატი - პროფესიულის სერტიფიკატი დაფუძნებული საშუალო განათლებაზე - პროფესიულის სერტიფიკატი დაფუძნებული საბაზო განათლებაზე - პროფესიულის სერტიფიკატი, საბაზო განათლების გარეშე	 5 4 4 3 2	პროფესიული განათლების სტანდარტი პროფესიული განათლების ეროვნული კურიკულუმი
ზოგადსაგანმანათლებლო	4 ტიპი - საშუალო განათლების სერტიფიკატი - საბაზო განათლების სერტიფიკატი გამარტივებული კურიკულუმით; - საბაზო განათლების სერტიფიკატი; - საბაზო განათლების სერტიფიკატი დაფუძნებული საშუალო და მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.	 3 2 2 1	საბაზო სკოლის ეროვნულ კურიკულუმი; საბაზო სკოლის განმარტივებულ ეროვნულ კურიკულუმი; საშუალო სკოლის ეროვნულ კურიკულუმი.

* მეხუთე დონის შესაბამისი კვალიფიკაცია შემოღებულია 2013/14 სასწ. წლიდან

ოკუპაციური/სექტორული კვალიფიკაციები განთავსებულია 2-8 დონეებზე. შემუშავებულია 620 სტანდარტი.

ოკუპაციური/სექტორული კვალიფიკაციების აქტის თანახმად "*ოკუპაციური/სექტორული კვალიფიკაცია* არის შეფასების ოფიციალური შედეგი, როცა სექტორული კვალიფიკაციების მიმნიჭებელი ოფიციალური ორგანო გადაწყვეტს, რომ პირს აქვს შესაბამისი ოკუპაციური/სექტორული სტანდარტით დასაქმებისათვის მოთხოვნილი კომპეტენციები." (მ.3 პ .2.). ამავე აქტის განმარტებით ოკუპაციური კვალიფიკაციის დონეები და განათლების დონეების

ერთმანეთთან შესადარისია და ორივე სისტემა: ოკუპაციური კვალიფიკაციების სისტემა და განათლების სისტემა მიეკუთვნება კვალიფიკაციების ერთიან ჩარჩოს, რომელიც თავის მხრივ შესადარისია საერთაშორისო დონეზე. ოკუპაციური კვალიფიკაციების სტანდარტის შემუშავება, განახლება დამტკიცება ხდება სექტორული უნარების საბჭოების მიერ.

განათლების კვალიფიკაციებისაგან განსხვავებით ოკუპაციური/სექტორული კვალიფიკაციის სერტიფიკატი არის ვადიანი.

ესტონეთის კვალიფიკაციების ჩარჩოს დიაგრამა იხ. დანართი #4

ჩარჩოს ძირითადი ელემენტები და ტემინოლოგია

ესტონეთიდს კვალიფიკაციის ჩარჩოს ელემენტებია:
- დონე
- დონის აღმწერები
- ტიპური კვალიფიკაციები

ერთიანი ჩარჩოს დონეები აღწერილია სწავლის შედეგებით - ცოდნის, უნარის, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ტერმინებით. ვინაიდან ერთიანი ჩარჩო არის ევროპული ჩარჩოს იდენტური არ არსებობს განსხვავება ძირითად ტერმინოლოგიაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგები განმარტებულია სხვაგვარად უმაღლესი განათლების სტანდარტში და ესაა ცოდნა, უნარი და დამოკიდებულებები. რაც შეეხება საბაზო და საშუალო სკოლის ეროვნულ კურიკულუმებს აქ სწავლის შედეგების მაგივრად კომპეტენციის ტერმინი გამოიყენება.

პროფესიული განათლების სტანდარტი სწავლის შედეგები ცოდნის, უნარისა და ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის გარდა დამატებით მოიცავს ისეთ კომპეტენციებს როგორიცაა
- სწავლის კომპეტენცია
- კომუნიკაციის კომპეტენცია
- პერსონალური კომპეტენცია
- პროფესიული კომპეტენცია.

კონკრეტული კვალიფიკაციების ჩართვა კვალიფიკაციების ჩარჩოში.

ესტონეთის კვალიფიკაციის ჩარჩოში ასახულია განათლების სისტემის ტიპური კვალიფიკაციის მოცემულია ცხრილში #3, მასში ასევე ჩართულია დასაქმების კვალიფიკაციები.

ჩარჩოში კონკრეტული კვალიფიკაციების ჩართვისათვის კვალიფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- განსაზღვრულია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული კვალიფიკაციის სტანდარტით
- გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დაწესებულების მიერ (მ.შ. ხარისხის უზრუნველყოფა)

კონკრეტული კვალიფიკაციის დონე, მისი ჩართულობა შესაბამის ჩარჩოში დასტურდება ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტებით: დიპლომის დანართითა და სერტიფიკატის დანართით.

2.3. ინგლისი და ჩრდილო ირლანდია

ინგლისსა და ჩრ. ირლანდიაში ფუნქციონირებს კვალიფიკაციების 3 ჩარჩო:
- კვალიფიკაციებისა და კრედიტების ჩარჩო (შემდეგში QCF) - შემუშავებულია 2008 წელს. ის თავდაპირველად გამიზნული იყო მხოლოდ პროფესიული განათლებისათვის, მაგრამ მოიცავს ყველა კვალიფიკაციას გარდა უმაღლესი

განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში გაერთიანებული კვალიფიკაციებისა და პროფესიული ორგანოების მიერ მინიჭებული წოდებებისა.
- კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო (შემდეგში NQF). გაერთიანებულია ის პროფესიული კვალიფიკაციები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ QCF-ის მოთხოვნებს.
- ინგლისის, უელსისა და ჩრ. ირლანდიის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო (შემდეგში FHEQ). შემუშავებულია 2001 წელს.

ინგლისისა და ჩრ. ირლანდიის კვალიფიკაციების ჩარჩოების დიაგრამა - დანართი 5.

შესაბამისობა ევროპულ ჩარჩოებთან:
- QCF პირდაპირ რეფერენსირებულია EQF-თან
- NQF, როგორც მილევადი სტრუქტურა არაა პირდაპირ რეფერესირებული EQF, თუმცა NQF-ის დონეები შეესაბამება QCF დონეებს. ამდენად, QCF-ის რეფერენსირება EQF-თან აღქმულია როგორც NQF-ის პარალელური რეფერენსირება.
- FHEQ -ი თვითსერტიფიცირებულია ბოლონიის პროცესის მოთხოვნების საფუძველზე და დადგენილია შესაბამისობა FQ-EHEA -თან.

ჩარჩოს დანიშნულება და ტიპები

ინგლისი და ჩრ. ირლანდიას რაოდენობრივად აქვთ 3 ჩარჩო, თუმცა რეალურად 2 ჩარჩოა, ვინაიდან QCF და NQF ერთმანეთს ავსებს. QCF და NQF არის ზოგადი და პროფესიული განათლების კვალიფიკაციების ამსახველი ჩარჩო. მათი 5-8 დონეების შესადარია უმაღლესის ჩარჩოსთან.

1) QCF შემუშავებულია საშუალო და პროფესიული განათლებისათვის, მოიცავს 9 დონეს (საწყისი და1-8 დონეები). საწყისი დონე თავის მხრივ სამ ნაწილად იყოფა (E-1; E-2; E-3). ეს არის ერთეულზე(მოდულზე) დაფუძნებული კრედიტების ჩარჩო. ამ ჩარჩოში გაერთიანებული ყველა კვალიფიკაცია შედგება მოდულებისა და კრედიტებისაგან. მოდული, მინიმუმ ერთი კვალიფიკაციის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

QCF-ის მიზანია [16] ხელი შეუწყოს ისეთი კვალიფიკაციების სისტემის შექმნას, ფუნქციონირებასა და უწყვეტ განვითარებას, რომელიც არის:
• ინკლუზიური - შეუძლია აღიაროს ყველა მოსწავლის მიღწევა სწავლის ნებისმიერი სფეროს ნებისმიერ დონეზე;
• თანამდგომი - ინდივიდებსა და დამსაქმებლებს საშუალებას აძლევს შეიმუშაონ იმ სასწავლო მიღწევების გზები, რაც შეესაბამება მათ საჭიროებებს და აღიარებს ორგანიზაციებს, რომლებიც მოთხოვნის შესაბამისად აყალიბებენ ერთეულებს/მოდულებსა და კვალიფიკაციებს;
• ხელმისაწვდომი - სისტემის შექმნა, რომლის მახასიათებლების გაგება იოლია ნებისმიერი მომხმარებლისათვის;
• არა-ბიუროკრატიული – ეფუძნება ურთიერთნდობას და მხარდაჭერილია რეგულაციებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროპორციული და საღი მიდგომებით.

2) NQF – 2004 წლის შემდეგ 9 დონიანია. საწყისი დონე და 1- 8 დონეები. ფუნქციონირებს მილევად რეჟიმში. ეს ჩარჩო მოიცავს ზოგადი განათლების კვალიფიკაციებს (GCSE, A-AS) და სხვა პროფესიულ კვალიფიკაციებს, თუმცა მიმდინარეობს ამ კვალიფიკაციების რეფორმირება.

3) FHEQ – მოიცავს ბოლონიის პროცესის შესაბამის 3 საფეხურს (ციკლს) და 5 დონეს (4-8 NQF-თან მიმართებაში), თუმცა ბოლონიის ჩარჩოსთან (EHEA-QF) თვითშეფასებისას მხოლოდ V-VIII დონეების შესაბამისობაა დადგენილი. ჩარჩოს მიზანია[17]
- უმაღლესი განათლების პროგრამების განმახორციელებლებისა და გარე შემფასებლებისათვის უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ათვლის წერტილი,

[16] Regulatory arrangements for the Qualifications and Credit Framework. 2008. OFQUAL, DCELLS, CEA
[17] The framework for higher education qualifications in England, Wales and Northern Ireland. 2008. QAA

ხელი შეუწყოს აკადემიური სტანდარტების შექმნასა და შეფასებას;
- დაეხმაროს მოსწავლეებს პოტენციური სასწავლო გზების განსაზღვრაში, განსაკუთრებით მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონტექსტში;
- ტიპურ კვალიფიკაციებთან დაკავშირებული მოლოდინების გაზიარებული და ერთიანი აღქმის ხელშეწყობა კვალიფიკაციების დასახელებების თანამიმდევრული გამოყენების მეშვეობით.

ინგლისისა და ჩრ. ირლანდიის ჩარჩოების ძირითადი ელემენტები და ტემინოლოგია

ინგლისისა და ჩრ. ირლანდიის კვალიფიკაციის ჩარჩოების ელემენტები

ცხრილი #4

QCF	NQF	FHEQ
დონე - 9 საწყისი და 1-8	დონე - 9 საწყისი და 1-8	დონე - 5
დონის აღმწერი	დონის აღმწერი	დონის აღმწერი
კრედიტები. 1 კრედიტი =10 სთ	-	კრედიტები
კვალიფიკაციის ტიპები ზომის მიხედვით: ჯილდო: 1-12 კრედიტი; სერიფიკატი:13-36 კრედიტი დიპლომი: 37+	კვალიფიკაციის ტიპები	კვალიფიკაციის ტიპები
		კვალიფიკაციის დასახელების ჩამოყალიბების წესი

სწავლის შედეგი და კომპეტენცია

ინგლისისა და ჩრ. ირლანდიის კვალიფიკაციების ჩარჩოები სწავლის შედეგზე დაფუძნებული სტრუქტურებია. ტერმინი კომპეტენცია საერთოდ არ გამოიყენება.

სწავლის შედეგი განმარტებულია, როგორც მოსწავლის მოლოდინი თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მას სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.

QCF-ში დონის დესკრიპტორი აღიწერება შემდეგი ტერმინებით: ცოდნა და გაცნობიერება; გამოყენება და ქმედება, ავტონომია და ანგარიშვალდებულება

GCSE, A-AS დონის კვალიფიკაციის სწავლის შედეგები მოცემულია კონკრეტული საგნის დოკუმენტებში და აღწერილია ცოდნა-გაცნობიერება, უნარების ტერმინებით.

FHEQ - სწავლის შედეგებს აღწერს ცოდნით, გაცნობიერებითა და უნარებით, ისევ როგორც შესაძლებლობებით. დარგობრივი დოკუმენტები, ასევე პროგრამის სპეციფიკაციის დოკუმენტი, აღწერს დარგობრივ ცოდნა-გაცნობიერებას და უნარებს. ეს უკანასკნელი გამოყოფს დარგობრივ და ზოგად უნარებს.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში პირდაპირაა მითითებული, რომ კვალიფიკაციის აღმწერი 2 ნაწილისგან შედგება: პირველი არის სწავლის შედეგები, რომელის მიღწევის შეფასებაც ხდება ანუ რისი დემონსტრირებაც შეუძლია სტუდენტს კვალიფიკაციის მისაღებად. ეს ნაწილი რელევანტურია დაწესებულებებისათვის აკადემიური პროგრამის შემუშავება-დამტკიცების პროცესში. ნებისმიერმა კურიკულუმმა და შეფასებამ საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს მიაღწიოს დაგეგმილ სწავლის შედეგებს და მაოხდინოს ამ შედეგების დემონსტრირება.

დესკრიპტორის მეორე ნაწილს შეადგენს უფრო ფართო შესაძლებლობები/უნარები, რომლიც უნდა განივითაროს ტიპურმა სტუდენტმა. ეს ნაწილი მნიშვნელოვანია დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან დისკუსიის დროს.[18]

ზემოაღნიშნულის მსგავსად QCF-ის მარეგულირებელ დოკუმენტი განმარტავს, რომ ყველა მოდულს უნდა ქონდეს სწავლის შედეგი, რომელიც არის მკაფიო, თანამიმდევრული და აღწერილია ისე, რომ ის გასაგებია მოსწავლისათვის და შესაძლებელია მათი შეფასება[19].

კონკრეტული კვალიფიკაციების ჩართვა კვალიფიკაციების ჩარჩოში

ტიპური კვალიფიკაციები მოცემულია დონეების მიხედვით, ხოლო კონკრეტული კვალიფიკაციების ჩარჩო(ებ)ში ჩართვისათვის განსაზღვრულია თანამიმდევრული პროცედურა და წესები როგორც პროფესიულ ასევე უმაღლესის დონეზე. მაგ., უმაღლესი განათლებაში კვალიფიკაციის გამცემის ვალდებულებაა უზრუნველყოს კვალიფიკაციის/ხარისხის შესაბამისობა ჩარჩოს დონესთან, რაც პროგრამების შემუშავება-დამტკიცების პროცედურებით მიიღწევა (შიდა ხარისხის უზრუნველყოფა). ეს პროცედურა და წესი შესაბამისობაში უნდა იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს "უმაღლეს განათლებაში აკადემიური ხარისხისა და სტანდარტების უზრუნველყოფის პრაქტიკის კოდექსთან" ნაწილი 7: პროგრამის დაგეგმვა, დამტკიცება, მონიტორინგი და განხილვა.

კონკრეტული კვალიფიკაციის დონე, მისი ჩართულობა შესაბამის ჩარჩოში დასტურდება ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტებით: დიპლომის დანართითა და სერტიფიკატის დანართით.

2.4. ირლანდია

ირლანდიის კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებას საფუძვლად დაედო კვალიფიკაციების (განათლებისა და ტრენინგის) აქტი (1999). ამ აქტის საფუძველზე კვალიფიკაციის ორგანოს დაევალა განესაზღვრა ჩარჩოს შემუშავების პოლიტიკა და კრიტერიუმები (პ.8(2)) და შეემუშავებინა კვალიფიკაციების ჩარჩო.

აღნიშნული კანონი და კვალიფიკაციების ჩარჩო კვალიფიკაციის სინონიმად იყენებს "award"-ს: "ჯილდო, რომელიც დადასტურებულია ან მინიჭებულია შესაბამისი ორგანოს მიერ და რომელიც მიუთითებს, რომ მოსწავლე დაეუფლა სტანდარტულ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს". ამ დოკუმენტის მიზნებისათვის გამოყენებული იქნება ტერმინი -კვალიფიკაცია.

ჩარჩოს დანიშნულება და ტიპები

ირლანდიის კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო განმარტებულია როგორც: ერთი, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიღებული ერთეული, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გაიზომოს და ერთმანეთს ლოგიკურად დაუკავშირდეს ყველა სასწავლო მიღწევა, და რომელიც განსაზღვრავს ურთიერთდამოკიდებულებას ყველა საგანმანათლებლო და ტრენინგის კვალიფიკაციას შორის.

კვალიფიკაციებისა და ტრენინგის აქტის (1999) თანახმად შესაბამის ორგანოს უნდა შეემუშავებინა ჩარჩო "ცოდნის, უნარებისა ან კომპეტენციების სტანდარტზე დაფუძნებული კვალიფიკაციების შემუშავების, აღიარებისა და მინიჭებისათვის." ჩარჩო ერთი მხრივ, ხელს უწყობს განათლების სისტემაში დაშვებას, ტრანსფერსა და პროგრესს და მეორე მხრივ, კი ყველა სასწავლო მიღწევის აღიარებას ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში.

ჩარჩო მოიცავს მოიცავს 10 დონეს და აერთიანებს კვალიფიკაციებს საბაზო სასწავლო მიღწევებიდან სადოქტორო განათლების ჩათვლით.

---

[18] Ibidem p. 14

[19] Regulatory arrangements for the Qualifications and Credit Framework. 2008. OFQUAL, DCELLS, CEA

ირლანდიის კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითადი ელემენტები და ტემინოლოგია

ჩარჩოს ძირითადი ელემენტებია:

- დონე,
- სწავლის შედეგები,
- კვალიფიკაციის ტიპები.

ირლანდიის კვალიფიკაციების ჩარჩო უშუალოდ არ ითვალისწინებს კრედიტებს, თუმცა ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად დამოუკიდებლად განისაზღვრა კრედიტები უმაღლესი განათლებისათვის 2004 წელს[20] და ასევე 2005-2008 წლებში შემუშავდა კრედიტების სისტემა "შემდგომი განათლებისა და ტრენინგების" პროგრამებისათვის.

დონე

დონე განისაზღვრა, როგორც თანამიმდევრული ნაბიჯების სერია. თითოეულ დონეს შეესაბამება ცოდნის, უნარის და კომპეტენციების სტანდარტები.

სწავლის შედეგები

დონის აღმწერი 3 ელემენტისგან შედგება. ამასთან, სწავლის შედეგების უფრო სრულყოფილი ანალიზისათვის თითოეული ელემენტი იყოფა რამდენიმე ქვეელემენტადs:

ცხრილი #5

ცოდნა	ტიპი
	მოცულობა (განფენილობა)
"ნოუ-ჰაუ" და უნარები	დიაპაზონი (range);
	სელექტიურობა
კომპეტენციები	კონტექსტი
	როლი
	სწავლის უნარი (learning to learn),
	საკითხის არსში გარკვევა(insight)

განსაკუთრებულ ინტერსს იწვევს აღმწერებში კონპეტენციის ტერმინის გამოყენება, ჩარჩოს შემუშავების დოკუმენტის მიხედვით "კომპეტენციის ძირითადი მახასიათებელია ცოდნისა და უნარების ეფექტური და შემოქმედებითი დემონსტრირება ადამიანურ სიტუაციებში. ასეთი სიტუაციები შეიძლება მოიცავდეს ზოგად სოციალურ და სამოქალაქო სიტუაციას, ისევე როგორც დასაქმების სპეციფიურ სფეროს. კომპეტენცია ეფუძნება დამოკიდებულებებს, ემოციებს, ღირებულებებსა და თვით-ეფექტურობის შეგრძნებას ისევე როგორც დეკლარაციულ და პროცედურულ ცოდნას. კომპეტენცია შეეხება გარკვეული ამოცანების გადასაჭრელად ცოდნის გამოყენების პროცესს და ჩვეულებრივად მისი გამომუშავება/შეძენა ხდება პრაქტიკისა და რეფლექსიის მეშვეობით. სიტუაციებში კომპეტენციის გამოყენების ზოგიერთი ასპექტები შეიძლება დამოკიდებული იყოს ინდივიდის თანდაყოლილ მახასიათებლებზე. ვინაიდან ამ ტიპის შესრულება/გამოყენება არ ისწავლება, ის არ შეიძლება ვაღიაროთ როგორც სწავლა."[21]

უნივერსიტეტები და დუბლინის ტექნოლოგიის ინსტიტუტი თავად განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ჩამოყალიბების წესს. ირლანდიის უნივერსიტეტების დოკუმენტები, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტები დამოწმებულია EQF-LLL-ის განხორციელებისა და ბოლონიის პროცესის ფარგლებში. მათ შორისაა კორკის უნივერსიტეტის წარმომადგენლების პრაქტიკული სახელმძღვანელო "სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და

[20] Principles and Operational Guidelines for the Implementation of a National Approach to Credit in Irish Higher Education and Training. www.nqai.ie/documents/principlesandoperguidelinesgreen.pdf

[21] Policies and criteria for the establishment of the National Framework of Qualifications. P.13; www.nqai.ie/publication_oct2003b.html

გამოყენება,” [22] სადაც საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მხოლოდ ცოდნასა და უნარებზე აკეთებენ აქცენტს.

კვალიფიკაციის ტიპი

კვალიფიკაციის/ჯილდოს ტიპი ესაა კვალიფიკაციების დასახელებების კლასი, რომელიც იზიარებს საერთო დონესა და მახასიათებლებს (სასწავლო მიღწევებს). ჩარჩოს 10 დონეზე არსებობს 16 ტიპის კვალიფიკაცია პირველი დონის სერტიფიკატიდან დაწყებული დოქტორის ხარისხით დამთავრებული.

კვალიფიკაცია არის 4 კატეგორიის:

- ძირითადი (major) კვალიფიკაცია არის კვალიფიკაციის პრინციპული კლასი, რომელიც გაიცემა ყველა დონეზე და ახასიათებს შესაბამისი დონის ტიპური სასწავლო მიღწევები (იხ. დანართი 6);
- ნაწილობრივი/მცირე (Minor)კვალიფიკაცია არის ძირითადი კვალიფიკაციისათვის დადგენილი შედეგების ნაწილობრივი დასრულებისათვის განკუთვნილი კვალიფიკაცია;
- დამატებითი (Supplemental) კვალიფიკაცია არის ძირითად კვალიფიკაციასთან დაკავშირებული დამატებითი სწავლისათვის განკუთვნილი კვალიფიკაცია;
- სპეციალური მიზნის კვალიფიკაცია არის შედარებით ვიწრო ან მიზნობრივი-სპეციფიური მიღწევებისათვის განკუთვნილიკვალიფიკაცია.

კონკრეტული კვალიფიკაციების ჩართვა კვალიფიკაციების ჩარჩოში

ირლანდიაში კანონმა განსაზღვრა ჩარჩოს შექმნის ვალდებულება და ტიპური კვალიფიკაციები. კვალიფიკაციების შესაბამისმა ორგანომ ჩარჩოს შემუშავებასთან ერთად დააგინა კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციების ჩართვის პოლიტიკა და კრიტერიუმები. კერძოდ, განსაზღვრა დონეები, დონის ინდიკატორები და კვალიფიკაციის ტიპები, რაც ქმნის ბაზას კონკრეტული კვალიფიკაციებისათვის. ამასთან, უნივერსიტეტებში არსებობს პროგრამის შემუშავება-დამტკიცებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები და პროცედურები.

ირლანდიის ეროვნული ჩარჩო რეფერენსირებულია/თვითსერტიფიცირებულია ევროპულ ჩარჩოებთან მიმართებაში. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული კვალიფიკაციის დონე და კვალიფიკაციების ჩარჩო მითითებულია კვალიფიკაციის მფლობელი დიპლომის დანართსა და სერტიფიკატის დანართში.

[22] **'Writing and Using Learning Outcomes: a Practical Guide'** Kennedy, D, Hyland, H and Ryan, N; (2006) 'Writing and Using Learning Outcomes: a Practical Guide' In: *The Bologna Handbook*.

3. ეროვნული კონტექსტი - საქართველოს საკვალიფიკაციო ჩარჩო

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დეფინიცია

საქართველოს კანონმდებლობით "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" 3 დეფინიცია და 2 ქვესისტემის ჩარჩოს დეფინიციაა მოცემული.

ცხრილი #6

ზოგადი განათლების კანონი	პროფესიული განათლების კანონი	უმაღლესი განათლების კანონი
ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებს (მ.2; პ. ე[1])	ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, პროფესიული განათლებისა და სპეციალური პროფესიული განათლების კვალიფიკაციებს	ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს (მ.2; პ" ფ[1]")

ზემოაღნიშნული განმარტებების პირველი ნაწილი, ძირითადად შესაბამისობაშია ევროპაში მიღებულ განმარტებასთან. ანუ აერთიანებს ქვეყანაში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, თუმცა მეორე ნაწილში არაა ახსნილი რის საფუძველზე აერთიანებს ამ კვალიფიკაციებს. უფრო მეტიც, ზოგადი განათლების კანონის განმარტების მეორე ნაწილი გაუგებარია, იმ თვალსაზრისით, რომ აქცენტს აკეთებს ქვესისტემის საფეხურებზე და არა კვალიფიკაციებზე.

ქვესისტემის ჩარჩოს დეფინიცია მოცემულია მხოლოდ პროფესიული და უმაღლესის განათლების ჩარჩოებისთვის. კანონით ქვესისტემის ჩარჩო არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი. ამდენად, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ ქვეყანაში არსებულ ყველა კვალიფიკაციის გაერთიანება რეალურად ერთი სათაურის ქვეშ სამი ქვესისტემის ჩარჩოს დოკუმენტის ტექნიკური გაერთიანებას წარმოადგენს.

ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო შემუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმის პარალელურად. "*ეროვნული სასწავლო გეგმა – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, <u>იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას,</u> და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას"* (მ.2 პ."ვ").

არცერთ განხილულ ქვეყანაში არ დასტურდება ეროვნული კურიკულუმის პარალელური ინსტრუმენტის არსებობა ზოგადი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სახით. ესტონეთი ეროვნულ კურიკულუმებს EstQF-ის რეფერენსირების დოკუმენტში მოიხსენიებს, როგორც ქვესისტემის ჩარჩოებს. ზოგადი განათლების ჩარჩოს მიზნების განხილვა (ცხრილი #10) ცხადყოფს ამ ჩარჩოს ხელოვნურობას ის ფაქტიურად გამოუყენებელია. ერთიანი ჩარჩოს მიზნებისათვის ზოგადი განათლების კვალიფიკაციების განთავსება უნდა განხორციელდეს ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლის შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ტერმინი დასახვეწია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ ესაა კვალიფიკაციების ჩარჩო და არა საკვალიფიკაციო ჩარჩო. სამუშაო ვარიანტად შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ორი დეფინიციის განხილვა:

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო – დონეებისაგან შემდგარი სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებს დონისათვის დადგენილი აღმწერების საფუძველზე.

ან

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დოკუმენტი, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციებს(ან საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას) აერთიანებს დონეების საფუძველზე და აღწერს თანამიმდევრული და ურთიერთადაკავშირებული გზით.

კვალიფიკაცია

დასაზუსტებელია კვალიფიკაციის ტერმინი. ეს ტერმინი მოცემულია უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების კანონებში. ერთიანი კვალიფიკაციების ჩარჩო აერთიანებს ყველა კვალიფიკაციას და შესაბამისად ტერმინი და მისი დეფინიცია საერთო და მისაღები უნდა იყოს მთელი სისტემისათვის და ზოგადად საზოგადოებისათვის.

ცხრილი #7

უმაღლესი განათლების კანონი	პროფესიული განათლების კანონი
სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით ან სერტიფიკატით	პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონე, რომელიც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით

კვალიფიკაციის ტერმინი უკეთესია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

> კვალიფიკაცია - სწავლის შედეგი რომელიც მიიღწევა სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ და დასტურდება ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

ავტორიზაციის განმარტება სამივე ქვესისტემის კანონში იმოწმებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამდენად, ცალ-ცალკე ატესტატების, სერტიფიკატებისა და დიპლომების ჩამოთვლის მაგივრად უმჯობესია ზოგადად აღინიშნოს "განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი".

საკვალიფიკაციო ჩარჩოების მიზნები

ქვესისტემის ჩარჩოებს თავისი მიზნები აქვთ დასახული.

ცხრილი #8

ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანი	პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანი	უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანი
ა) ზოგადი განათლების კომპეტენციებსა და ქვეყნის განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურის კომპეტენციებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა; ბ) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა გ) საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესადარობის უზრუნველყოფა განათლების მიღებისა თუ კვალიფიკაციათა აღიარების პროცესის გასამარტივებლად; დ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა	ა) პროფესიული განათლების სისტემის გამჭვირვალობისა და პროფესიული კვალიფიკაციების სიცხადის უზრუნველყოფა; ბ) ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნების, შრომის ბაზრისა და განათლების სისტემის ურთიერთკავშირის ხელშეწყობა; გ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე ორიენტაცია; დ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა; ე) სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციების აღიარებისა და მობილობის ხელშეწყობა; ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული საგანმანათლებლო	ა) ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციათა ურთიერთკავშირის აღწერა; ბ) სტუდენტების, დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალისათვის არსებული კვალიფიკაციების გაგების გაადვილება; გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში; დ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება;

	პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში.	ე) სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბების საფუძვლის შექმნა; ვ) საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესადარობის უზრუნველყოფა, ასევე კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთაღიარების პროცესის გაადვილება; ზ) სტუდენტების მობილობის წახალისება და ხელშეწყობა; თ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

კითხვებს ბადებს ზოგადი განათლების ჩარჩოს მიზნების მიღწევის რეალურობა. ცხადია, რომ მისი(ჩარჩოს) არსებობა ზოგადი განათლების სისტემას არაფერს მატებს და აშკარად ზედმეტია.

ზოგადის განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიზნები

ცხრილი # 9

მიზნები	შენიშვნა
ა) ზოგადი განათლების კომპეტენციებსა და ქვეყნის განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურის კომპეტენციებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა	- ტერმინოლოგიურად გაურკვეველია რას ნიშნავს სხვა საფეხურის კომპეტენციები; - ქვესისტემის ჩარჩოები დამოუკიდებლად არსებობენ და მათი კვალიფიკაციების დონეებზე განლაგება აღმწერების მეშვეობით არ განხორციელებულა, შესაბამისად ურთიერთკავშირების გარკვევა რთულია
ბ) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა	მიზანი ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების სისტემისათვის დამახასიათებელი მიდგომებით. როგორც წესი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ეროვნული კურიკულუმთან მიმართებაში შეფასებასთანაა დაკავშირებული EQF-LLL-ის დოკუმენტით ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები მოცემულია მხოლოდ უმაღლეს და პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.
გ) საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესადარობის უზრუნველყოფა განათლების მიღებისა თუ კვალიფიკაციათა აღიარების პროცესის გასამარტივებლად**;**	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N 98/ნ ბრძანება, რომელიც შეეხება აღიარებას ზოგად განათლებასთან მიმართებაში საერთოდ არ ახსენებს ჩარჩოს და შესაბამისად არც იყენებს.
დ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ისედაც სავალდებულოა, ხოლო ზრდასრულთა განათლება არ შეეხება ზოგადი განათლების სისტემას. სრული ზოგადი განათლების პროგრამა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას LLL-ის მიზნებისათის ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ზოგადი განათლების გარდა ამბიციურად გამოიყურება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ერთ-ერთი მიზანიც. კერძოდ, "ა) ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციათა ურთიერთკავშირის აღწერა"[23] - რისი გაკეთება და დანახვაც არ შეიძლება ქვესისტემის ჩარჩოს მეშვეობით ესაა ყველა არსებული კვალიფიკაციის ურთიერთკავშირის აღწერა. ასეთი მიზანი შეიძლება მხოლოდ ერთიანმა ჩარჩომ დაისახოს.

პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნები არ ბადებს კითხვებს, მაგრამ ეს დოკუმენტი სამწუხაროდ არ აღიქმება რეალურ ინსტრუმენტად. 2013 წელს პრემიერ მინისტრის 2013 წლის #300 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებაში მითითებულია "…. კვალიფიკაციების *საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებისა და მობილობის უზრუნველსაყოფად.*" ანუ აღიარება - მობილობის საკითხებში უგულვებელყოფილია, როგორც ეროვნული ჩარჩოს ასევე EQF-LLL-ის როლი, რომლის მიზანი აღიარებისა და მობილობის ხელშეწყობაა. სტრატეგია ზოგადად კვალიფიკაციების სისტემაზე ამახვილებს ყურადღებას და საერთოდ არ ახსენებს კვალიფიკაციების ჩარჩოს.

ჩარჩოების არქიტექტურა

ქვესისტემის ჩარჩოს ელემენტები:

- საფეხური
- სწავლის შედეგები
- ინფორმაცია ქვესისტემის შესახებ (მ.შ. ტიპური კვალიფიკაციები) - კანონის ნორმები
- კვალიფიკაციის დასახელების ჩამოყალიბების წესი (უმაღლესი და პროფესიული)
- სფეროების ჩამონათვალი
- კრედიტები (უმაღლესი)

საფეხურები

საქართველოს განათლების ყველა ქვესისტემა კანონმდებლობის შესაბამისად დაყოფილია საფეხურებად. 2005 წლამდე საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას არ ქონდა საფეხურები. ბოლონიის პროცესის შესაბამისად მოხდა უმაღლესი განათლების 3 ნაწილად გაყოფა. საერთაშორისო დონეზე ბოლონიის პროცესის ფარგლებში უმაღლესი განათლებისათვის გამოყენებულია ტერმინი "cycle"- ციკლი, ქართულად ითარგმნა როგორც საფეხური[24]. QF-EHEA-ის შემუშავების ანგარიშის დოკუმენტი (ბერგენის სამიტი, 2005) ერთმანეთისაგან განასხვავებს ტერმინებს "დონე" და "საფეხური"(ციკლი). კერძოდ,

> დონე არის თანამიმდევრული ნაბიჯების რიგი (განვითარების კონტინიუმი), რომელიც აღწერილია ზოგადი შედეგების ტერმინებით და რომელზედაც განლაგებულია ტიპური კვალიფიკაციები
>
> საფეხური - ბოლონიის პროცესის მიერ განსაზღვრული სამი თანამიმდევრული დონე (პირველი, მეორე და მესამე საფეხური), რომელზეც განლაგებულია ევროპული უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია

"საფეხური"(ციკლი) მიბმულია განათლების ოფიციალურ სისტემაზე, მაშინ როდესაც "დონე" სისტემისგან დამოუკიდებლად ასახავს სწავლის შედეგებს. EQF-LLL-ის დოკუმენტის თანახმად: "კვალიფიკაციის თითოეული დონე პრინციპში შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კარიერული გზით"(3.12).

---

[23] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N 98/ნ ბრძანება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ

[24] ზოგადი და პროფესიული განათლება 1997 წლის განათლების კანონით საფეხურებისგან შედგებოდა. ეს დამკვიდრებული ტერმინი გამოიყენა უმაღლეს განათლებაში 2004 წლის კანონმაც

ვინაიდან სამივე ჩარჩო განათლების ქვესისტემას წარმოაჩენს გასაგებია, რომ მათი სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ქვესისტემის ოფიციალური საფეხური. საფეხური შეიძლება შეესაბამებოდეს დონეს ან მოიცავდეს რამდენიმე დონეს. მაგ., უმაღლეს განათლებაში ერთი საფეხური შეიძლება მოიცავდეს 2 დონეს: პირველი საფეხური შედგება ბაკალავრისა და შუალედური კვალიფიკაციისაგან. ისინი სხვადასხვა დონეზეა განლაგებული. მეორე და მესამე საფეხურები კი მხოლოდ ერთ დონეს შეესაბამება.

შესაბამისად სხვადასხვა სისტემის კვალიფიკაციებს შორის ურთიერთკავშირების აღწერისათვის ოფიციალური სისტემისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული ელემენტის ნაცვლად საჭიროა სხვა ტერმინის გამოყენება და ასეთია ტერმინი "დონე".

ქვესისტემის საფეხურები:

ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემის საფეხურები რაოდენობრივი თვალსაზრისით შესაბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას საერთაშორისო დონეზე არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ეს სფერო პირდაპირაა დაკავშირებული შრომის ბაზართან, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, ეკონომიკის რეგულაციებთან. ამის გათვალისწინებით სხვადასხვა ქვეყანაში ამ სისტემის განვითარების სხვადასხვა მიდგომა არსებობს. პროფესიული განათლების დონეზე არსებული საფეხურები და შესაბამისი კვალიფიკაციები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. დღეს არსებული 5 საფეხურიანი სისტემის პრობლემურობა დასმულია რამდენიმე დოკუმენტში.

პროფესიული განათლების რეფორმირების სტრატეგიაში, სტრატეგიული მიზნის, "პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და სისტემაში ჩართულობის გაზრდა", მისაღწევად დასმულია ამოცანა - "შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამი კვალიფიკაციის დონეების განსაზღვრა და სისტემაში დანერგვა"; განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებების სამუშაო ვერსიაში (2014) პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში მიუთითებს, რომ "ხელოვნურად არის გართულებული კვალიფიკაციის დონეების მიხედვით განაწილების სისტემა."

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ევროპაში "სწავლის შედეგებისა" და "კომპეტენციების" რამდენიმე ტერმინი გამოიყენება. სწავლის შედეგთან მიმართებაში უფრო მცირე განსხვავებებია და ყველა შემთხვევაში უკავშირდება თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. მსგავსი განმარტება მოცემულია უმაღლესი განათლების კანონში. ქართული ჩარჩო სწავლის შედეგებს "დუბლინის დესკრიპტორის" 5 ელემენტთან ერთად ღირებულების ტერმინითაც აღწერს. ეს მიდგომა გავრცელებულია განათლების სხვა ქვესისტემის ჩარჩოებზეც.

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ასევე გამოყენებულია კომპეტენციის ტერმინიც (ზოგად და უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში). უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში ის მოხვდა ტუნინგი II-ის შედეგად, რომლის ფარგლებშიც საქართველოც ღებულობდა მონაწილეობას (2007-08 წლებში). თუმცა, ტერმინი არაა განმარტებული და ინტერპრეტირების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, კანონში კომპეტენციის ტერმინი ნახსენები არაა, თუმცა კვალიფიკაციები აღწერილია კომპეტენციის (ავტონომიურობა, პასუხისმგებლობის) კონტექსტში. ამასთან, ეს აღწერა ძირითადად შესაბამისობაშია EQF-LLL-ის I-V დონეების კომპეტენციების აღწერასთან.

ცხრილი #10

პროფესიული განათლების კანონი[25]	EQF-LLL

[25] კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2007. მუხლი 10[1]

I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი	სტრუქტურირებულ კონტექსტში მუშაობს ან სწავლობს პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ
II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი	მუშაობს ან სწავლობს ზედამხედველობით და გარკვეული ავტონომიურობით
III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად	სწავლის ან სამუშაოს შესრულებისას პასუხისმგებლობის აღება, პრობლემის გადაჭრისათვის საკუთარი ქმედებების ადაპტირება
IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე	სასწავლო და სამუშაო რეგულაციების კონტექსტში, ჩვეულებრივ პროგნოზირებად, მაგრამ ცვლილების შემცველ გარემოში თვით-მენეჯმენტის უნარი; შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს სხვების რუტინულ საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოსა და სასწავლო აქტივობის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე
V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას	სამუშაო და სასწავლო აქტივობისას წარმართვა და ზედამხედველობა არაპროგნოზირებადი ცვლილებების პირობებში და საკუთარი და სხვისი საქმიანობის ხელშეწყობა/განვითარება

ამდენად, EQF-LLL-ის აღწერები არაპირდაპირ გამოყენებულია პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.

კვალიფიკაციების ჩარჩოში ტერმინი ღირებულებები არაა განმარტებული. გაურკვეველია ღირებულების რა სისტემაზეა საუბარი. სწავლის შედეგებში "ღირებულების", როგორც ფილოსოფიური კატეგორიის დამატება ძალიან საკამათოა. "ღირებულების", როგორც სწავლის შედეგის შეფასება შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია ღირებულების დონეებად დაყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულებების ელემენტი არ არსებობს არცერთ ჩარჩოში. თუმცა კომპეტენციის განმარტებებში, გვხვდება ტერმინი "დამოკიდებულება". კერძოდ, თუნინგ II დეფინიციისა და ძირითადი(key) კომპეტენციების დოკუმენტში. ასევე ყურადსაღებია EQF-LLL-ის განმარტება: "კომპეტენცია ნიშნავს ცოდნის, უნარებისა და პერსონალური, სოციალური და/ან მეთოდოლოგიური უნარების დადასტურებულ გამოყენებას სამუშაო და სასწავლო სიტუაციაში, პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში. ერთიანი ევროპული ჩარჩოს მიზნებისათვის კომპეტენცია აღწერილია ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ტერმინებით". აღსანიშნავია, რომ პერსონალური და სოციალური უნარები დაკავშირებულია დამოკიდებულებების გამოხატვასთან, კრიტიკულ და თვით-კრიტიკული შესაძლებლობებთან, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გამოხატვასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფართო განმარტების მიუხედავად ცნობილია EQF-LLL-ით კომპეტენციების აღწერა შემოიფარგლა მხოლოდ ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კონტექსტით და მისი აღწერა კურიკულუმში სასწავლო პროცესის მიზნებისათვის არ ხდება[26].

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების კანონით განმარტებული სწავლის შედეგი მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია საერთაშორისო დონეზე მიღებულ განმარტებასთან, საკვალიფიკაციო ჩარჩოში დამატებული რამდენიმე განუმარტავი ტერმინი (ღირებულებები; დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები) სერიოზულად გაურკვევლობას ქმნის. ღირებულებები ამოსაღებია აღმწერებიდან, თუმცა შესაძლებელია კომპეტენციის ტერმინის შემოღება. ამასთან, კომპეტენციები

[26] EQF note 4. Using Learning Outcomes. გვ. 8-9

(ავტონომიურობა, პასუხისმგებობა) შეიძლება აისახოს კვალიფიკაციების ჩარჩოში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პირდაპირ იქნება მითითებული, რომ მათი შეფასება არ ხდება და მიეცეს თავისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულებებს თავად განსაზღვროს მისი აღწერის საჭიროება. მსგავსი ტიპის მიდგომა აქვს ინგლისის კვალიფიკაციების ჩარჩოს "შესაძლებლობებთან" მიმართებაში.

საერთაშორისო დონეზე კვალიფიკაციების შესადარობის, თავსებადობისა და აღიარების ხელშეწყობის მიზნით ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთვის კარგი იქნება თუ სწავლის შედეგები აღიწერება EQF-LLL-თვის დამახასიათებელი ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის ტერმინებით და თანაც ისე რომ გათავალისწინებულ იქნეს "დუბლინის დესკრიპტორები". ეს მიდგომა გამოყენებული აქვს დანიას. ასეთ შემთხვევაში:

1. კვალიფიკაციის ჩარჩოში მოცემული ტერმინები, თავისი დეფინიციებით სრულ შესაბამისობაში იქნება EQF-LLL-თან; ეს რელევანტურია პროფესიული განათლებისათვისაც (იხ. ცხრილი #11).
2. შენარჩუნდება "დუბლინის დესკრიპტორის" 5 ელემენტი. რასაც აკადემიური საზოგადოება მეტ-ნაკლებად შეეჩვია და მეორე მხრივ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღმწერი ასევე შესაბამისობაში იქნება EHEA-QF-თან.
3. პირდაპირ იქნება მითითებული, რომ კომპეტენციის შეფასება არ ხდება დაწესებულება თავად განსაზღვრავს მისი აღწერის საჭიროებას.

კვალიფიკაციის ჩარჩოს აღმწერის ელემენტები

ცხრილი #11

EQF –LLL დესკრიპტორის ელემენტები	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო დუბლინის 5 ელემენტით
ცოდნა (თეორია, ფაქტობრივი)	ცოდნა და გაცნობიერება
უნარი (კოგნიტური, პრაქტიკული)	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი გადაწყვეტილების მიღება კომუნიკაციის უნარი
კომპეტენცია(ავტონომიურობა, პასუხისმგებლობა)	სწავლის უნარი (ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის კონტექსტში)

საფეხურები და ტიპური კვალიფიკაციები

ტიპური კვალიფიკაციები ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების კანონების მიხედვით:

1. ზოგადი განათლების კანონით განსაზღვრული კვალიფიკაციები.
ზოგადი განათლება სამსაფეხურიანია, თუმცა 9 წლიანი განათლება სავალდებულოა და შესაბამისად, კვალიფიკაციები გაიცემა მხოლოდ 2 საფეხურზე:
- II საფეხური - საბაზო განათლების სახელმწიფო დოკუმენტი
- III საფეხური - სრული ზოგადი განათლების სახელმწიფო დოკუმენტი

2. პროფესიული განათლების კანონით განსაზღვრული კვალიფიკაციები:
- I საფეხურის კვალიფიკაცია
- II საფეხურის კვალიფიკაცია
- III საფეხურის კვალიფიკაცია
- IV საფეხურის კვალიფიკაცია
- V საფეხურის კვალიფიკაცია

- ასოცირებული ხარისხი

3. უმაღლესი განათლების კანონით განსაზღვრული კვალიფიკაციები:

- ბაკალავრი
- შუალედური კვალიფიკაცია
- მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი
- მაგისტრი
- დიპლომირებული მედიკოსი/სტომატოლოგი
- დოქტორი

- მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების პროგრამების შესაბამისი აღიარებული დიპლომები
- ქართული ენის სერტიფიკატი

ვინაიდან არ არსებობს ერთიანი ჩარჩო და ქვესისტემის კვალიფიკაციები განლაგებულია ქვესისტემის საფეხურებზე, ქვეყანაში არსებული კვალიფიკაციების ერთიანი აღქმა გართულებულია. ამასთან, არსებობს კვალიფიკაცია რომელის ადგილი განსაზღვრული არაა და კვალიფიკაცია, რომელიც არ ფუნქციონირებს, როგორც კვალიფიკაცია.

პრობლემურ კვალიფიკაციებს განეკუთვნება:
- ასოცირებული ხარისხი
- შუალედური კვალიფიკაცია
- მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების პროგრამების შესაბამისი აღიარებული დიპლომები

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის სერტიფიკატი გაიცემა უსდ-ს მიერ და ამ კვალიფიკაციისათვის მომზადება ხდება უსდ-ში, ამ კონკრეტული შემთხვევისათვის ის არაა უმაღლესის განათლების კვალიფიკაცია.

2010 წლიდან პროფესიული განათლების შესახებ კანონით შემოღებულია კვალიფიკაცია - ასოცირებული ხარისხი, "რომელიც პირს ენიჭება პროფესიული განათლების მიღების პარალელურად ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად"(მ.4. პ. ბ[1]). იმავე მუხლში განმარტებულია, რომ ლიბერალური განათლება ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებით.

- კვალიფიკაციების ჩარჩოში არც უმაღლეს და არც არსებულ პროფესიულ დონეზე არ ფიგურირებს კვალიფიკაცია "ასოცირებული ხარისხი". მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონით არსებობს კვალიფიკაცია - ასოცირებულ ხარისხი- მას არა აქვს ადგილი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში არაა დაფიქსირებული, ვინაიდან უმაღლესის კანონში არ წერია და ასევე არაა მითითებული პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოში, რადგანაც პროფესიული განათლების კანონიც ადასტურებს, ეს უმაღლესის კვალიფიკაციაა და არა პროფესიული კვალიფიკაცია.
.

- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებობს შუალედური კვალიფიკაცია. ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.

ამ კვალიფიკაციის არსებობის 4 წლის განმავლობაში რამდენიმე ავტორიზებული საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა ეს კვალიფიკაცია. პროგრამაში მითითებულია, რომ შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი, თუმცა ამ კვალიფიკაციისათვის არაა ჩამოყალიბებეული სწავლის შედეგები. ეს ნიშნავს, რომ რეალურად კვალიფიკაცია არ არსებობს.

კვალიფიკაციების ჩართვა კვალიფიკაციების ჩარჩოში

კვალიფიკაციების ჩარჩოს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი არის დონის ტიპური კვალიფიკაცია (და არა კონკრეტული დაწესებულების მიერ გაცემული კონკრეტული კვალიფიკაცია). საქართველოსში ტიპური კვალიფიკაციები განათლების

ქვესისტემების მიხედვით კანონმდებლობითაა განსაზღვრული. ნებისმიერი ახალი ტიპის კვალიფიკაციის შემოღება და მისი კვალიფიკაციებსი ჩარჩოში ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით.

კონკრეტული დაწესებულების მიერ გაცემული კონკრეტული კვალიფიკაციის ჩართვა ჩარჩოში (ანუ ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენა) დამოკიდებულია აღიარების პროცედურაზე. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღიარებული კვალიფიკაცია გაიცემა ავტორიზაციის შემდეგ. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს(ან ერთიანი ჩარჩოს 5-8 დონეების) თვითსერტიფიცირების შემდეგ კონკრეტული კვალიფიკაციის ჩარჩოში ჩართვა/შესაბამისობა უნდა აისახოს დიპლომის დანართის 3.1. პუნქტში, ხოლო თავად ჩარჩო კი მერვე პუნქტში. მსგავსი პროცედურა მოქმედებს პროფსიული განათლების ფარგლებში ევროპასის დოკუმენტის სერტიფიკატის დანართთან მიმართებაშიც.

განათლების სფეროების(მიმართულება, დარგი, ქვედარგი) ჩამონათვალის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში გაერთიანებამ არასწორი აქცენტები დასვა და დღეს ჩამოყალიბდა უარყოფითი პრაქტიკა, როდესაც კვალიფიკაციად მოიაზრება განათლების სფეროების ჩამონათვალი და არა საგანმანათლებლო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობა.

როდესაც განათლებსის სფეროების ჩამონათვალს უწოდებენ კვალიფიკაციების ჩამონათვალს ასეთ შემთხვევაში ერთი სიტყვის დამატება ან არსებულის ერთი მწკრივიდან მეორეში გადატანა აღიქმება კვალიფიკაციის ჩარჩოში ჩართვად. განათლების სფეროების ჩამონათვალი და მასში მითითებული არცერთი სფერო არ არის კვალიფიკაცია. ჩამონათვალი არის დამხმარე ინსტრუმენტი კვალიფიკაციის დასახელების სწორად ჩამოსაყალიბებლად.

სხვადასხვა სფეროსთან მიმართებაში ჩამონათვალი შეიძლება სწრაფად შეიცვალოს შრომის ბაზარის სწრაფცალებადი მოთხოვნების ასახვის მიზნით. თუმცა, ამგვარ ცვლილებას კავშირი არა აქვს ჩარჩოს დონესთან ან ტიპურ კვალიფიკაციასთან. ჩამონათვალის ცვლილება არ უნდა იწვევდეს მუდმივ ცვლილებებს ჩარჩოს დოკუმენტში. ასეთი ჩამონათვალი უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით და სასურველია შესაბამისობაში იყოს ISCED -2013-თან.

4. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ჩარჩო სახე/ტიპი და სტრუქტურა (ელემენტები)

1.1. ევროპული მეტა-ჩარჩო EQF-LLL შემუშავდა კოპენჰაგენის პროცესის ფარგლებში, რომელიც პროფესიული განათლებისა განვითარებას ისახავდა მიზნად. ამდენად, ერთიანი ჩარჩოს იდეა უკავშირდება პროფესიული განათლების რეფორმირებას, როგორც ევროპულ ასევე ეროვნულ დონეებზეც. პროფესიული განათლება არის განათლების ის ქვესისტემა, რომელიც ყველაზე დიდ როლს თამაშობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპის განხორციელებაში.
საქართველოში ერთიანი ჩარჩოს შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პროფესიული განათლების სისტემას, სადაც მუდმივი ცვლილებები მიდის. გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების რეფორმირების სტრატეგიის (2013-2020) მიერ დასმული ის საკითხები, რომელიც შეეხება პროფესიული პროგრამების მოდულარიზაციას და მოდულებზე კრედიტების მინიჭებას, რაც გარკვეულწილად თანხვედრაშია ინგლისურ QCF-თან. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ინგლისის გამოცდილება ამ მიმართულებით. მოდულარიზაცია/კრედიტების გამო დღემდე შენარჩუნებულია QCF-ის პარალელური ჩარჩო- NQF-ი, რომელიც აერთიანებს ზოგადი განათლების კვალიფიკაციებსა და იმ პროფესიულ კვალიფიკაციებს, რომელთა მოდულარიზაცია ჯერ არ განხორციელდა. ამ ფონზე ინგლისში დამოუკიდებლად არსებობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო.

ამდენად, რამდენი ჩარჩო უნდა შემუშავდეს დამოკიდებულია
- დანიშნულებაზე: მხოლოდ კვალიფიკაციების ჩარჩო თუ კვალიფიკაციებისა და კრედიტების ჩარჩო (მოდულარიზებული).
- კვალიფიკაციების მოდულებისაგან შედგენის პრინციპის დანერგვისას, გასარკვევია მოდულის წარმატებით დასრულება დადასტურდება თუ არა შესაბამისი დოკუმენტით და რა ადგილს დაიკავებს ის საკვალიფიკაციო სისტემაში

1.2 ევროპულ დონეზეც არსებობს 2 მეტა-ჩარჩო. მათ სხვადასხვა დანიშნულება და სტრუქტურა აქვთ:
- EHEA-QF-მა უმაღლესი განათლების სივრცის ჰარმონიზაცია მოახდინა და ევროპაში ყველგან უმაღლესი განათლების 3 საფეხურიანი სისტემაა. ყველა იყენებს ერთ "საერთო ვალუტას" ანუ ECTS-ის კრედიტებს და ძირითად ტიპურ კვალიფიკაციებს (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი). ჩარჩოს სტრუქტურაა: საფეხური, აღმწერი, კრედიტები და ტიპური კვალიფიკაციები.
- EQF-LLL-მა შეძლო დაეკავშირებინა სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა კვალიფიკაცია საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციის ან საერთო კვალიფიკაციის ტიპების შემოღების გარეშე. ამდენად, შედგება დონისა და აღმწერისაგან.

1.3. განხილული ოთხი ქვეყნის მაგალითიდან მხოლოდ 2 ქვეყანას (ესტონეთი და ირლანდია) აქვს ერთი საერთო ჩარჩო აქედან ესტონეთი კვალიფიკაციების ჩარჩო (EstQF არის EQF-LLL-ის იდენტური დონისა და დონის აღმწერების მიხედვით. ირლანდიის ჩარჩო მოიცავს შემდეგ ელემენტებს:
- დონე
- აღმწერი
- ტიპური კვალიფიკაციები.
ცალკე დოკუმენტითაა დარეგულირებული ECTS-ის კრედიტების საკითხი.

ინგლისსა და დანიას აქვთ დამოუკიდებელი ჩარჩოები უმაღლესი განათლებისათვის. ამასთან, ინგლისის ჩარჩო უფრო დეტალურია. დანიის უმაღლესი განათლების ჩარჩოს აღმწერები 6-8 დონეებზე პირდაპირაა გადატანილი ერთიან ჩარჩოში.

არცერთი ქვეყნას არ შეუქმნია დამოუკიდებელი კვალიფიკაციების ჩარჩო ზოგადი განათლების სისტემისათვის. ამის საჭიროებაც არ არსებობდა ვინაიდან, ყველგან არის ეროვნული კურიკულუმ(ებ)ი ან შესაბამისი კვალიფიკაციის აღმწერი დოკუმენტები (მაგ., GCSE, A – AS ინგლისში), სადაც მოცემულია სწავლის შედეგები ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურებისათვის. ზოგადი განათლების

კვალიფიკაციების განთავსება ერთიანი ეროვნული ჩარჩოს დონეებზე განხორციელდა დონის აღმწერებისა და ეროვნული კურიკულუმის სწავლის შედეგების ურთიერთშედარების საფუძველზე, ასევე ასევე ზოგიერთი ფორმალური ასპექტების გათვალისწინებითაც.

რეკომენდაცია

ვარიანტი 1
შეიქმნას ერთი ჩარჩო შემდეგი ელემენტებით: დონე, დონის აღმწერი, ტიპური კვალიფიკაციები. დამოუკიდებელი დოკუმენტებით განისაზღვროს პროფესიული განათლების კრედიტების რაოდენობა (დონეების/საფეხურების მიხედვით) და მინიჭების წესები. უმაღლესის შემთხვევაში კი ECTS-ის კრედიტების რაოდენობა სისტემის საფეხურების მიხედვით და მინიჭების წესი დეტალურადაა გაწერილი შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

ვარიანტი 2
შეიქმნას 2 ჩარჩო: ერთიანი და უმაღლესი განათლების.

ჩარჩოს ელემენტები:

ერთიანი	უმაღლესი განათლების
- დონე	- დონე
- დონის აღმწერი	- დონის აღმწერი
- კვალიფიკაციის ტიპები კრედიტებში გამოხატული ზომის მიხედვით	- კვალიფიკაციის ტიპები - კრედიტები - კვალიფიკაციის დასახელების ჩამოყალიბების წესი

ვარიანტი 3
პირველი ორი ვარიანტის კომბინაცია. ერთიანი ჩარჩო პირველი ვარიანტის მიხედვით და უმაღლესი განათლების ჩარჩო მეორე ვარიანტის მიხედვით.

2. კვალიფიკაციის ჩარჩოსთვის აუცილებელი ტერმინოლოგია

ერთიანი ეროვნული ჩარჩოს შემუშავება და ფუნქციონირება მინიმუმ 3 ძირითადი სტრუქტურული ელემენტის არსებობას მოითხოვს. ესენია:

- დონე,
- დონის აღმწერი (სწავლის შედეგი)
- კვალიფიკაცია.

ამჟამად კანონმდებლობით განმარტებულია მხოლოდ სწავლის შედეგი და კვალიფიკაცია, თუმცა არსებული ტერმინები დასახვეწია. საჭიროა დონის ტერმინის შემოტანა, ისევე როგორც განმარტებას საჭიროებს ამ ტერმინებთან დაკავშირებული სხვა ტერმინებიც.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ტერმინი დასახვეწია. პირველ რიგში დასაზუსტებელია სახელიუნდა იყოს "კვალიფიკაციების ჩარჩო" და არა "საკვალიფიკაციო ჩარჩო". ტერმინის განმარტების სამუშაო ვარიანტად შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ორი ვარიანტის განხილვა:

რეკომენდაცია

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო – დონეებისაგან შემდგარი სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებს დონისათვის დადგენილი აღმწერების საფუძველზე.
ან
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დოკუმენტი, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციებს(ან საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას) აერთიანებს დონეების საფუძველზე და აღწერს სწავლის შედეგების მეშვეობით, თანამიმდევრული და ურთიერთადაკავშირებული გზით.

კვალიფიკაცია

კვალიფიკაციის ტერმინი მოცემულია უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების კანონებში განსხვავებული ინტერპრეტაციებით. ერთიანი კვალიფიკაციების ჩარჩო აერთიანებს ყველა კვალიფიკაციას და ამდენად, ტერმინი და მისი განმარტება საერთო და მისაღები უნდა იყოს მთელი სისტემისათვის და ზოგადად საზოგადოებისათვის.

რეკომენდაცია

კვალიფიკაციის ტერმინი შეიძლება დაზუსტდეს შემდეგი სახით: კვალიფიკაცია - სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ და დასტურდება ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

დონე

ერთიანი კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითადი სტრუქტურული ერთეული "დონე" არაა მიბმული განათლების ოფიციალურ სისტემას. "დონე" სისტემისგან დამოუკიდებლად აღწერს სწავლის შედეგებს. EQF-LLL-ის დოკუმენტის თანახმად: "კვალიფიკაციის თითოეული დონე პრინციპში შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კარიერული გზით"(3.12).

ამ ელემენტის გარეშე არ არსებობს ერთიანი ჩარჩო. "დონე" არის ჩარჩოს საფუძველი. ჩარჩოს შემუშავების ფუნდამენტური კითხვაა თუ რამდენი დონე იქნება ჩარჩოში. ოფიციალური სისტემის საფეხურებზე განლაგებულმა კვალიფიკაციებმა შესაძლებელია ერთმანეთი ერთიანი ჩარჩოს სხვადასხვა დონეებზე გადაკვეთონ. უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის კვალიფიკაციების ერთიან დონეებზე განლაგება საერთაშორისო დონეზე გამარტივებულია QF-EHEA-სა და EQF-LLL-ის ურთიერთაღიარების მეშვეობით. რაც შეეხევა პროფესიულ განათლებას აქ სისტემის საფეხურების რაოდენობა და მათი განთავსება ერთიანი ჩარჩოს დონეებზე დამოკიდებულია შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ევროპის დონეზე განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა 8-დონიანი ჩარჩოს მეხუთე დონე, რომელიც უმაღლესი განათლების შუალედურ კვალიფიკაციას შეესაბამება. ამ დონეზე ასევე განთავსებულია პროფესიული კვალიფიკაციებიც. პროფესიული განათლების მეხუთე დონისა და უმაღლესი განათლების შუალედური კვალიფიკაციის აღმწერები საქართველოშიც ერთმანეთის მსგავსია, თუმცა ფორმალური ასპექტებით არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

რეკომენდაცია

ა) ერთიანი ჩარჩოს შემუშავებისათვის აუცილებელია მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტების, დონის და დონის აღმწერის ტერმინების შემოღება. კერძოდ,

> დონე - ერთიანი ეროვნული ჩარჩოს სტრუქტურული ელემენტი, რომელიც აღწერილია სწავლის შედეგებით (დონის აღმწერებით) და რომელზეც განთავსებულია აღმწერის შესაბამისი კვალიფიკაციები.
>
> დონის აღმწერი - განზოგადებული სწავლის შედეგი, აღწერს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონის შესაბამის კვალიფიკაციას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ტერმინებით.

ბ) ერთიანი ჩარჩოს დონეების დადგენის მიზნით შესწავლილ იქნეს პროფესიული განათლების პროგრამები და მათი სწავლის შედეგები. განსაკუთრებული ყურადრება უნდა გამახვილდეს 8-დონიანი ჩარჩოს მეხუთე დონის შესაბამის კვალიფიკაციებზე.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

სწავლის შედეგები განმარტებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, როგორც "საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები" (მ. ३34). ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებისათვის საჭიროა სწავლის შედეგების ტერმინის მცირედი ცვლილება.

მეტა-ჩარჩოებში სწავლის შედეგები თითქმის ერთნაირადაა განმარტებული მცირეოდენი განსხვავებებით. ძირითადად ესაა რა იცის, ესმის და რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს სწავლის (პერიოდის, პროცესის) დასრულების შემდეგ. EQF-LLL-ი სწავლის შედეგებს აღწერს ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის ტერმინებით. ბოლონიის დოკუმენტები არ იძლევა კომპეტენციის განმარტებას, QF-EHEA ის დოკუმენტში მითითებულია, რომ სწავლის შედეგი მოიცავს კომპეტენციასაც, თუმცა მკაფიოდ არ გამოყოფს. "დუბლინის დესკრიპტორში" კომპეტენცია სხვა ელემენტებთანაა შერეული. ამასთან, სწავლის უნარი(learning to learn) განსაკუთრებითაა დაკავშირებული ავტონომიურობასთან.

რეკომენდაცია

ა) სწავლის შედეგის განმარტება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

სასწავლო პროცესის დასრულების შედეგად მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები.

ბ) საერთაშორისო დონეზე ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესადარობისა და თავსებადობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სწავლის შედეგების აღწერა EQF-LLL-თვის დამახასიათებელი ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის ტერმინებითა და შესაბამისი დეფინიციებით. ამავდროულად გათავალისწინებულ იქნეს "დუბლინის დესკრიპტორის" ელემენტებიც. ეს მიდგომა გამოყენებული აქვს დანიას. ასეთ შემთხვევაში:
- კვალიფიკაციის ჩარჩოში მოცემული ტერმინები (ცოდნა, უნარი, კომპეტენციები), თავისი დეფინიციებით სრულ შესაბამისობაში იქნება EQF-LLL-თან; ეს რელევანტურია პროფესიული განათლებისათვისაც (იხ. ცხრილი #11);

- შენარჩუნდეს "დუბლინის დესკრიპტორის" 5 ელემენტი. რასაცერთი მხრივ აკადემიური საზოგადოება მეტ-ნაკლებად შეეჩვია და მეორე მხრივ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღმწერი ასევე შესაბამისობაში იქნება QF- EHEA თან.

EQF –LLL დესკრიპტორის ელემენტები	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სწავლის შედეგის ელემენტები (დუბლინის 5 ელემენტი)
ცოდნა (თეორია, ფაქტობრივი)	ცოდნა და გაცნობიერება
უნარი (კოგნიტური, პრაქტიკული)	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი გადაწყვეტილების მიღება კომუნიკაციის უნარი
კომპეტენცია (ავტონომიურობა, პასუხისმგებლობა)	სწავლის უნარი

- მითითებული, იქნება რომ კომპეტენციის შეფასება არ ხდება და დაწესებულება თავად განსაზღვრავს კურიკულუმში მისი აღწერის საჭიროებას.

3. საფეხურის შესაბამისი ტიპური კვალიფიკაციები

ერთიანი ჩარჩოს არარსებობა ართულებს ქვეყანაში არსებული კვალიფიკაციების ურთიერთკავშირის აღქმას. კვალიფიკციები განსაზღვრული განათლების 3

ქვესისტემის კანონებით. ამასთან, კანონით არსებობს კვალიფიკაცია რომელის ადგილი გაურკვეველია, ასევე არსებობს კვალიფიკაცია, რომელის ფუნქციონირებაც კვალიფიკაციის არსს ეწინააღმდეგება ან საერთოდ არ ექვემდებარება ხარისხის უზრუნველყოფას რაც ასევე წარმოადგენს მეტა-ჩარჩოების ფუნქციონირების პრინციპს.

პრობლემურ კვალიფიკაციებს განეკუთვნება:

- ასოცირებული ხარისხი
- შუალედური კვალიფიკაცია
- მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების პროგრამების შესაბამისი აღიარებული დიპლომები

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის სერტიფიკატი გაიცემა უსდ-ს მიერ და ამ კვალიფიკაციისათვის მომზადება ხდება უსდ-ში, ეს არაა უმაღლესის განათლების კვალიფიკაცია და მისი ადგილი დასადგენია.

რეკომენდაცია

- გაირკვეს ასოცირებული ხარისხის დანიშნულება და ადგილი სისტემაში.
- გაირკვეს შუალედური კვალიფიკაციის არსებობის აუცილებლობა და დაზუსტდეს შუალედური კვალიფიკაციის ტერმინი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კვალიფიკაციის ტერმინთან.

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების პროგრამების შესაბამის აღიარებულ დიპლომებთან და კვალიფიკაციებთან მიმართებაში:

- კვალიფიკაციები რაოდენობა შეიზღუდოს მხოლოდ თეოლოგიის პროგრამის კვალიფიკაციით;
  ან
- ყველა პროგრამა დაექვემდებაროს ხარისხის უზრუნველყოფას ვინაიდან აღიარებული პროგრამების შემდგომი ხარისხის უზრუნველყოფა არის ჩარჩოების ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი.

4. კვალიფიკაციების ჩართვა ჩარჩოში

ეროვნული ჩარჩოს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი არის დონის ტიპური კვალიფიკაცია და არა კონკრეტული დაწესებულების მიერ გაცემული კონკრეტული კვალიფიკაცია. ტიპური კვალიფიკაციები განათლების ქვესისტემების მიხედვით განსაზღვრულია კანონმდებლობით. ნებისმიერი ახალი ტიპის კვალიფიკაციის შემოღება და მისი კვალიფიკაციების ჩარჩოში ასახვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით.

განათლების სფეროების (მიმართულება, დარგი, ქვედარგი) ჩამონათვალის ჩარჩოში გაერთიანებამ არასწორი აქცენტები დასვა და დღეს კვალიფიკაციად მოიაზრება ამ სფეროების ჩამონათვალი და არა საგანმანათლებლო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგები. განათლების სფეროების ჩამონათვალი და მასში მითითებული არცერთი სფერო არ არის კვალიფიკაცია, ის არის დამხმარე ინსტრუმენტი კვალიფიკაციის დასახელების სწორად ჩამოსაყალიბებლად.

რეკომენდაცია

- ჩარჩოში განისაზღვროს კონკრეტული კვალიფიკაციის დასახელების ჩამოყალიბების წესი მხოლოდ უმაღლესი განათლებისათვის. განათლების სფეროების ჩამონათვალი უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ დოკუმენტად და სასურველია შესაბამისობაში იყოს ISCED -2013-თან.
- ასოცირების ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით, ისევე როგორც ევროპულ შრომის ბაზარზე ქართული პროფესიული განათლების კვალიფიკაციების აღიარების ხელშეწყობისა და პროფესიული კვალიფიკაციების გამჭვირვალობის მიზნით პროფესიულ განათლებაში უნდა დაინერგოს ევროპასის სერტიფიკატის დანართი. ქვეყანაში რეფერენსირებული ერთიანი ჩარჩოს არსებობის შემთხვევაში კონკრეტული პროფესიული კვალიფიკაციის დონე მიეთითება ევროპასის დანართის მე-5 პუნქტში.

დანართები

დანართი1. მეტა- ჩარჩოები: ტერმინები

ტერმინები	QF- EHEA	EQF-LLL
კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია (უმაღლესი განათლება): კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი ხარისხი, დიპლომი ან სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს უმაღლესი განათლების აღიარებული პროგრამის წარმატებით დასრულებისას მიღწეულ განსაზღვრული სწავლის შედეგებს.	კვალიფიკაცია ნიშნავს შეფასებისა და ვალიდაციის ფორმალურ შედეგს, რომელიც მიიღება როდესაც კომპეტენტური ორგანო დაადგენს, რომ ინდივიდმა მიაღწია დადგენილი სტანდარტის სწავლის შედეგს.
ეროვნული კვალიფიკაციების სისტემა		ეროვნული კვალიფიკაციების სისტემა ნიშნავს წევრი ქვეყნების საქმიანობის ყველა იმ ასპექტს', რომელიც დაკავშირებულია სწავლის/განათლების აღიარებასთან და სხვა მექანიზმებთან რომელიც აკავშირებს განათლებასა და ტრენინგს შრომის ბაზართან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ეს მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის, შეფასებისა და კვალიფიკაციების მინიჭებასთან დაკავშირებული ინსტიტუციურ მოწყობისა და შესაბამისი პროცესების განვითარება-განხორციელებას. ეროვნული კვალიფიკაციების სისტემა შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ქვესისტემისაგან და შეიძლება მოიცავდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.
კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო	1. კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო (უმაღლესი განათლება): ეროვნულ/სისტემის დონეზე არსებული ერთიანი აღწერა, რომელიც გასაგებია საერთაშორისო დონეზე და რომლის მეშვეობითაც უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია და სხვა სასწავლო მიღწევა აღიწერება თანამიმდევრული და ურთიერთადაკავშირებული გზით და განსაზღვრავს ურთიერთობებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს შორის 2. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო არის მეტა ჩარჩო რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ევროპული უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებისა და მათი კვალიფიკაციების გამჭვირვალობა. ის არის მთარგმნელობითი მექანიზმი ეროვნულ ჩარჩოებისათვის.	კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო - ინსტრუმენტი, რომლიც განათლების განსაზღვრული დონისათვის დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს კვალიფიკაციების კლასიფიცირებას. მისი მიზანია ეროვნული კვალიფიკაციების ქვესისტემების ინტეგრირება და კოორდინირება და შრომის ბაზარსა და საზოგადოებასთან მიმართებაში კვალიფიკაციების გამჭვირვალობის, მათზე დაშვების, პროგრესიისა და ხარისხის გაუმჯობესება

დონე	დონე არის თანამიმდევრული ნაბიჯების რიგი (განვითარების კონტინიუმი), რომელიც აღწერილია ზოგადი შედეგების ტერმინებით და რომელზედაც განლაგებულია ტიპური კვალიფიკაციები	
Cycle- საფეხური	საფეხური - ბოლონიის პროცესის მიერ განსაზღვრული სამი თანამიმდევრული დონე (პირველი, მეორე და მესამე საფეხური), რომელზეც განლაგებულია ევროპული უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია	
დესკრიპტორი	დესკრიპტორი არის სწავლის შედეგების ზოგადი განაცხადი. ის არის მკაფიო ათვლის წერტილი (დამოწმების საფუძველი), რომელიც აღწერს კვალიფიკაციის ძირითად შედეგებს უმეტესად ეროვნულ დონეებთან მიმართებაში	
სწავლის შედეგები	სწავლის შედეგი - განაცხადი (მოლოდინების შესახებ) თუ რა უნდა იცოდეს, რას აცნობიერებდეს და/ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეს სასწავლო პერიოდის დასრულების შემდეგ.	სწავლის შედეგი არის განაცხადი თუ რა იცის, რას აცნობიერებს ან რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. აღიწერება ცოდნის, უანარებისა და კომპეტენციების ტერმინებით.
ცოდნა		ცოდნა არის სწავლის მეშვეობით ინფორმაციის ასიმილაციის შედგი. ცოდნა არის სწავლის ან შრომის სფეროსთან დაკავშირებული ფაქტები, პრინციპები, თეორიები და პრაქტიკა. ევროპულ ჩარჩოს მიზნებისათვის ცოდნა არის თეორიული და/ან ფაქტობრივი.
უნარი		უნარები ნიშნავს ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას და ასევე "ნოუ-ჰაუს" გამოყენებას დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად. ერთიანი ევროპული ჩარჩოს მიზნებისათვის უნარები განმარტებულია როგორც კოგნიტური (მოიცავს ლოგიკური, ინსტრუმენტული და კრეატიული აზროვნების გამოყენებას) და პრაქტიკული (მოიცავს ხელობის გაწაფულობას და მეთოდების, მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას)
კომპეტენცია		კომპეტენცია ნიშნავს ცოდნის, უნარებისა და პერსონალური, სოციალური და/ან მეთოდოლოგიური უნარების დადასტურებულ გამოყენებას სამუშაო და სასწავლო სიტუაციაში, პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში. ერთიანი ევროპული ჩარჩოს მიზნებისათვის კომპეტენცია აღწერილია ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ტერმინებით.
პროფილი	პროფილი: სწავლის ან კვალიფიკაციის სპეციფიური/ დარგობრივი სფერო ან სხვადასხვა დარგის პროგრამების და/ან კვალიფიკაციის კლასტერების ფართო ჯგუფი, რომელიც საერთო მიზნებს იზიარებს (მაგ., გამოყენებითი vs თეორიული)	

დანართი 2

კომპეტენციები (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)
დუბლინის დესკრიპტორებში

კვალიფიკაციების ჩარჩო უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის

საფეხური/ციკლი	აღმწერი
მოკლე ციკლი პირველი საფეხურის ფარგლებში	• შეუძლია კომუნიკაცია თავისი ცოდნის, უნარების და საქმიანობის შესახებ **კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან და მომხმარებლებთან*;** • **გააჩნია სწავლის უნარ-ჩვევები შემდგომი სწავლის გარკვეული ავტონომიით განხორციელებისათვის**.
I საფეხური	• შეუძლია კომუნიკაცია ინფორმაციის, იდეის, პრობლემებისა და მათი გადაჭრის შესახებ კომუნიკაცია **როგორც სპეციალისტების ასევე არასპეციალისტების წრეშიც;** • **გამომუშავებული აქვს სწავლის ისეთი უანრ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია შემდგომი სწავლის დამოუკიდებლად გასაგრძელებლად**
II საფეხური	• შეუძლია კომუნიკაცია თავის დასკვნების შესახებ, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით **როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან**; • **აქვს სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც თვითგანმსაზღვრელი ან დამოუკიდებელად სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.**
III საფეხური	• შეუძლია კომუნიკაცია **კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან თავისი სფეროს შესახებ.** • **ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში შეუძლია ხელი შეუწყოს ტექნოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ წინსვლას.**

* კომუნიკაციის უნარი მოიცავს როგორც უნარის ასევე კომპეტენციის ელემენტებს EQF-LLL-ის დეფინიციით.

დანართი 3. ევროპის ქვეყნების (დანია, ესტონეთი, ინგლისი და ჩრ. ირლანდია, ირლანდია) ჩარჩოები

	დანია	ესტონეთი	ინგლისი და ჩრ. ირლანდია	ირლანდია
ჩარჩოს ტიპი	2 ჩარჩო: NQF-LLL; HEQF	1 ჩარჩო - EstQF განათლების სისტემის სტანდარტები	3 ჩარჩო: QCF; NQF; FHEQ	1 ჩარჩო
ჩარჩო(ები)ს არქიტექტურა	NQF-LLL - დონე - დონის აღმწერი - ხარისხები და სერტიფიკატები - ხარისხებისა და სერტიფიკატების ჩართვის პრინციპები და პროცედურა - ინტერაქტიული ვებგვერდი HEQF - დონე - დონის აღმწერი - კრედიტები - ხარისხები და სერტიფიკატები - ხარისხებისა და სერტიფიკატების ჩართვის პრინციპები და პროცედურა - ინტერაქტიული ვებგვერდი	-დონე - დონის აღმწერი - განათლების ქვესისტემის ტიპური კვალიფიკაციები - სექტორული კვალიფიკაციები	QCF - დონე - დონის აღმწერი - კვალიფიკაციის ტიპები ზომის მიხედვით - კრედიტები (1კ=10 სთ) NQF - დონე - დონის აღმწერი - კვალიფიკაციის ტიპები FHEQ - დონე - დონის აღმწერი - კვალიფიკაციის ტიპები - კრედიტები - კვალიფიკაციის დასახელების ჩამოყალიბების წესი	- დონე, - აღმწერი, - კვალიფიკაციის კატეგორიები და ტიპები
დონე	უმაღლესი - 4 დონე (SC) ერთიანი - 8 დონე	8 დონე	QCF - 9 დონე NQF – 9 დონე FHEQ – 5 დონე	10 დონე
დონის აღმწერები	ცოდნა - გაცნობიერება, უნარი, კომპეტენციები დუბლინის ელემენტები გადანაწილებულია ცოდნა უნარსა და კომპეტენციებზე	EQF-LLL-ის იდენტური აღმწერები	QCF -ცოდნა და გაცნობიერება; გამოყენება და ქმედება, ავტონომია და ანგარიშვალდებულება NQF – ცოდნა, გაცნობიერება უნარები FHEQ -ცოდნა გაცნობიერება უნარები, შესაძლებლობები	ცოდნა, “ნოუ-ჰაუ” და უნარები, კომპეტენციები
რამდენიმე ჩარჩოს შემთხვევაში მათი ურთიერთ-დამოკიდებულება	უმაღლესი განათლების საფეხურის აღმწერები ცვლილებების გარეშე გადატანილია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ჩარჩო 6-8 დონეებზე	-	QCF –მა უნდა ჩაანაცვლოს და NQF რეფორმების შემდეგ. FHEQ შეესაბამება QCF-ის 4-8 დონეებს	-
კონკრეტული კვალიფიკაციების ჩართვა ჩარჩოში	უმაღლესი - Ex-ante აკრედიტაცია პროფესიული - შესაბამისი კომიტეტების რეკომენდაციით ამტკიცებს სამინისტრო	ნებისმიერი კვალიფიკაცია, რომელიც გაიცემა აღიარებული დაწესებულების მიერ	კვალიფიკაციის მინიჭების უფლების მქონე დაწესებულება ვალდებულია პროგრამა შეიმუშაოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიერ დადგენილი წესითა და პროცედურით	კვალიფიკაციის მიმნიჭებელი აღიარებული ორგანო კონკრეტულ კვალიფიკაციას გასცემს არსებული სტანდარტის საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფა არის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა.

დანართი 4. ესტონეთი კვალიფიკაციის ჩარჩოს (EstQF) დიაგრამა



დანართი 5. ინგლისისა და ჩრ.ირლანდიიდ კვალიფიკაციის ჩარჩოების დიაგრამა



დანართი 6. ირლანდიის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დიაგრამა



გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004
2. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. 2007
3. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. 2005
4. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013წლის #300 ბრძანება "პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე (2013-2020)"
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N 98/ნ ბრძანება "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ"
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N 98/ნ ბრძანება "საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ"
7. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები (სამუშაო ვერსია). 2014
8. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part. 2014
9. Recommendation of the European parliament and the council on the establishment of the European Qualifications Framework for lifelong learning (2008/C 111/01)
10. Recommendation of the European parliament and the council on key competences for lifelong learning (2006/962/EC)
11. Berlin Communique 2003; www.ehea.eu
12. EQF note 1. Explaining the European qualifications framework for lifelong learning. http://ec.europa.eu/eqf/documentation_en.htm
13. Qualifications (Education and Training) Act 1999, Ireland. http://www.nfq.ie/nfq/en/documents/QualificationsEducationandTrainingAct1999.pdf
14. Principles and Operational Guidelines for the Implementation of a National Approach to Credit in Irish Higher Education and Training. http://www.nqai.ie/documents/principlesandoperguidelinesgreen.pdf
15. Policies and criteria for the establishment of the National Framework of Qualifications. http://www.nqai.ie/publication_oct2003b.html
16. A Framework for Qualifications of the European Higher Education Area. Bologna Working Group on Qualifications Frameworks, 2005
17. Verification of compatibility of the Danish National Qualifications Framework for Higher Education with the Framework for Qualifications of the European Higher Education Area www.enic-naric.net
18. Referencing the Danish Qualifications Framework for Lifelong Learning to the European Qualifications. Framework http://ec.europa.eu/eqf/documentation_en.htm
19. Referencing of the Estonian Qualifications and Qualifications Framework to the European Qualifications Framework. http://ec.europa.eu/eqf/documentation_en.htm
20. EstQF – Estonian qualification framework http://www.kutsekoda.ee/en/kvalifikatsiooniraamistik/ekr_tutvustus
21. National curriculum for basic schools; National curriculum for upper secondary schools; http://www.hm.ee/en/activities/pre-school-basic-and-secondary-education
22. Estonia. Standard of Higher Education. Government of the Republic Regulation, 2002, No 258; http://hm.ee/en/search/gss/Standard%20of%20Higher%20Education
23. Tuning educational structures in Europe II.Universities contribution to the Bologna process. Ed. Wagenaar, Gonsales. 2005
24. Tuning: SQF for the Humanities; http://www.unideusto.org/tuningeu/sqf-humanities-and-arts/outcomes.html
25. A Tuning Guide to Formulating Degree Programme Profiles Including Programme Competences and Programme Learning Outcomes. Bilbao, Groningen and The Hague, 2010. http://www.unideusto.org/tuningeu/images/stories/documents/Tuning_Guide._Degree_programme_profiles.pdf